# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 30 სამშაბათი, 9 თებერვალი 1910 წ. № 30

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

წელიწადი მესამე **დროება** წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50 | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ

## კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების“-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „ДРОЭБА“, И. С. Агладзе.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ხოზოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვიც.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—104)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—266)

## თამბაქოს მწეველთა საყურადღებოდ!

თამბაქოს ფაბრიკამ სავ. სახ. „ძმ. სეილანოვები“ გამოუშვა შემდეგი უმაღლეს ხარისხის პაპიროსები:

„პრიმა“ ) 25 ც.—30 კაპ. ) 25 ც.—25 კაპ. და 10 ც 10 კაპ. ) 25 ც.—15 კაპ. და 10 ც 6 კაპ.

„ზეფირი“ და დელიკატნია ) 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კაპ.

ვოსხოდი და რეფორმა 10 ც. 5 კაპ.

„არაქსი“ 10 ც. 3 კაპ. „მარსი“ 20 ც. 5 კაპ.

გთხოვთ გასინჯოთ. იყიდება ყველგან.

თამბაქოს ფაბ. სავ. სახ. „ძმები სეილანოვები“.

(15—ტ.—1)

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა**, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (30—4)

**გაზ. „დროების“ კანტორა** აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელის მომწერმა კანტორას უნდა აცნობოს ხოლმე, რათა შემდეგისთვის ყურადღება მიექციოს გაზეთების წესიერად მიღებას.

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა). აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—8

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—362)

**ექიმი ზ. მაზაკიანი**

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, ძიძეილის პრ., N 36, საზ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—91)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—54

**ექიმი მ. დ ბეთანოვი** ქუთაისში,

მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—12)

**ექიმი შ. მიქელაძე**

**იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.** საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—20)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—95)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—111)

**ექიმი** კბილისა **რომანიშვილი-დგებუაძისა**

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—11)

**ექიმი დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი** ქუთაისში

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის** სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—17)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

7—8 თებერვალი.

### საზღვარ-გარედ.

**ბუდაპეშტი.** „პესტერლოიდში“ დაბეჭდილია ერთ ცნობილ პირის განცხადება. განცხადებაში ნათქვამია, რომ ოსმალეთში გაგზავნილ დანევის მოხსენებებმა მეფესა და მთავრობაზედ კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს და დაარწმუნეს, რომ განახლებულ ოსმალეთთან მეგობრული კავშირი უნდა იქონიონო. მთავრობას განზრახული აქვს ოსმალეთთან ხანგრძლივი მეგობრული კავშირი დასდოს. სერბია სცდილობს ბოლგარიას მიჰბაძოს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საბერძნეთის მოძრაობა შინაურ საქმეებისკენ არის მიმართული და მართველი წრეებიც ხელს უწყობენ ამას, მაშინ დავინახავთ, რომ ბალკანეთის სახელმწიფოები სცდილობენ განახლებულ ოსმალეთს დაუახლოვდნენ და მისი კეთილი ყურადღება დაიმსახურონ. ყველაფერი ეს ახალგაზრდა ოსმალეთა მოქმედებას და უნარს უნდა მიეწეროს. ბალკანეთის სახელმწიფოების ასეთი ლტოლვილება ხელს შეუწყობს ოსმალეთს თავისუფლად იმოქმედოს გარეშე პოლიტიკაში.

**პარიზი.** საზღვაო მინისტრი პალმიდანატყობინებენ, რომ კაპიტან კაიოლის გვამი ვიპოვეთო. კაიოლა გემ „გენერალ შანზის“ დაღუპვის დროს დაიხრჩო.

მთავარ-ეპისკოპოს პავონის თავმჯდომარეობით მოხდა ეპარქიალურ სამღვდელოების შეერთებული კრება. კრებამ მსჯელობა იქონია ეკლესიის შევიწროებაზედ. კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სამღვდელოება მთავრობას ჰკიცხავს, სინიდისის თავისუფლებას ზღუდავსო.

**ათინა.** დეპუტატთა პალატა. მინისტრ-პრეზიდენტმა დრაგუმისმა განაცხადა: ყველა პარტიები თანახმანი არიან, რომ მოწვეულ იქმნეს საბერძნეთის ეროვნული კრება. კრება განიხილავს კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლებს, იგი ხელს შეუწყობს საბერძნეთში ნორმალურ წესწყობილების დამყარებასო. პარტიების ლიდერები, აგებენ პასუხს იმ შედეგისთვის, რომელიც კონსტიტუციის გადასინჯვას მოჰყვება. როდესაც მოვა დრო პარტიის ლიდერები დეპუტატთა პალატაში წინადადებას შეიტანენ ეროვნულ კრების მოწვევის შესახებ. მაშინ საჭირო დავაჩქაროთ ეროვნულ კრების მოწვევა, რადგან სხვა საშუალება არ არის სახელმწიფოში ნორმალურ წეს-რიგის დასამყარებლადო.

**ლონდონი.** ლიბერალებმა დროებით შეაჩერეს მუშათა პარტიასთან და ირლანდიელებთან მოლაპარაკება.

**ბერლინი.** სანტ-იაგოდან იუწყებიან: აქ თავის ცოლით სცხოვრობს კუკი. კუკი ვინმე კრეგის გვარს ატარებს.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს სიტყვით აბეშის ახლო მომხდარ შეტაკების დროს მართლა მოუკლავთ ლეიტენანტი მოდი.

**ბერლინი.** რეიხსტაგის თავმჯდომარის გრაფ შტოლბერგის ხანგრძლივ ავადმყოფობის გამო რეიხსტაგმა მიიღო სწრაფი წინადადება, რომლითაც პრეზიდიუმში უნდა მოიწვიონ კონსერვატორი გრაფი შვერინ-ლევიცი.

**რეიხსტაგი.** სოციალისტებმა კანცლერის სახელზედ შეკითხვა შეიტანეს. სოციალისტები თავიანთ შეკითხვაში ეხებიან კანცლერის განცხადებას ლანდტაგში საარჩევნო უფლების რეფორმის შესახებ. შეკითხვა დაასაბუთა სოციალ-დემოკრატმა ფრანკომ, რომელმაც თავისი სიტყვა შემდეგის სიტყვებით დაამთავრა: ბრძოლა არ გათავებულა, კანცლერი სამსახურიდან გადადგება, (მარცხნივ ტაში, მარჯვნივ სტვენა) გრძელი სიტყვა წარმოსთქვა კანცლერმა. მან, სხვათა შორის, სთქვა: სწორედ გითხრა, მარტო პირდაპირ, თანასწორ, საყოველთაო და ფარულ კენჭის ყრაში გერმანიის ხსნას ვერა ვხედავ და ვერც დავინახავთ, არც მე, არც მოკავშირე სახელმწიფოები არა სცდილობენ რეიხსტაგის აწ არსებულ არჩევნების სისტემის შეცვლას. ამას მხოლოდ შეკითხვის ავტორები ელტვიან, რომელთაც უნდათ ქალებს საარჩევნო უფლება მისცენ და ისე შესცვალონ არჩევნები, რომ რეიხსტაგში უფრო ახალგაზრდები გავიდნენ.

**ბერლინი.** საღამოს 7 საათზე დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა რეიხსტაგის პრეზიდენტი გრაფი შტოლბერგ-ვერნიგოროდე.

**ბუდაპეშტი.** შესდგა ახალ მთავრობის პარტიის დამფუძნებელი კრება. კრების გადაწყვეტილებით პარტიას ეწოდება შრომის ეროვნული პარტია. მინისტრ-პრეზიდენტმა კუენ-ხედერვერიმ კრებას გააცნო მთავრობის სამოქმედო პროგრამა. ხედერვერის სიტყვით მთავრობა ახლო მომავალშივე შიუდგება საარჩევნო უფლების რეფორმის შესახებ პროექტის შედგენას, არჩევნები დამყარებული იქნება საყოველთაო არჩევნების უფლების პრინციპად, იმ პირობით კი, რომ დაცულ უნდა იქმნეს სახელმწიფოს ეროვნული ხასიათი. ამასთან უნდა გაუმჯობესდეს არა მდიართა მოქალაქეების მდგომარეობა. ავსტრო-ჰუნგრეთის საერთო აგრარულ ბანკს სამინისტრო იმდენად დაიცავს, რამდენადაც ეს ბანკი წინანდელთან შედარებით ჰუნგრეთის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს. კრებამ მოიწონა მთავრობის პროგრამა და შესაფერი რეზოლიუცია გამოიტანა. რეზოლიუცია დაასაბუთა ტისსამ, რომელმაც განაცხადა, ახალი მთავრობა არ ეხება სადაო სახელმწიფო-უფლებრივ საკითხებს და სცდილობს ეროვნულ დემოკრატიის მიზნები განახორციელოსო.

**სერაევო.** დღეს გამოცხადდა კონსტიტუცია ბოსნია-ჰერცოგოვინაში. ქალაქი მორთულია ბაირაღებით. ქალაქის უფროსმა წაიკითხა იმპერატორის ბრძანება კონსტიტუციის შესახებ. ორკესტრმა შეასრულა ეროვნული ჰიმნი. ისროლეს ზარბაზნები.

**ბლიუფილდსი** (ნიკარაგუა). გენერალ მენი იუწყება, სენ-ვინცენტთან ბრძოლამ ათი საათი გასტანაო. მთავრობის ჯარს დიდი ზარალით უკან დაუხევია. კონსულებმა გენერალ ესტრადეს წინადადება მისცეს შუამდგომლობას ვიკისრებთ, რომ სისხლის ღვრა თავიდან ავიცილოთო.

**კაირი.** სამინისტროს ახლო სტუდენტმა რევოლვერი ესროლა მინისტრ-პრეზიდენტ ბუტროს-ფაშას. მინისტრ-პრეზიდენტი მძიმედ დაიჭრა. სტუდენტი დააპატიმრეს.

**სტამბოლი.** დიდის ამბით დაასაფლავეს იერუსალიმის პატრიარქად ნამყოფი ნიკოდიმი. დასაფლავებას დაესწრო რუსეთის ელჩი ჩარიკოვი და საელჩოს წევრები.

### სპარსეთი

**თავრიზი.** რახიმ-ხანის გაქცევის შემდეგ ეფრემი და ბოგადური ყარადაღის მცხოვრებთ იარაღს ართმევენ. ჯერ არ იციან, როდის ჩამოვლენ თავრიზში ეფრემის და ბოგადურის რაზმები. მიუხედავად იმისა, რომ რახიმ-ხანისგან სპარსეთი უზრუნველყოფილია, არაფერი ისმის იმის შესახებ, იარაღს ჩამოართმევენ სათარ-ხანის და ბაგირ-ხანის ფიდაებს თუ არა. თავრიზში ბევრი უმუშევარია შეიარაღებული, რომლებიც მცხოვრებლებში შიშს იწვევენ.

### რუსეთი

**ეკატერინოსლავი.** 6 თებერვალს, დილის 4 საათზე, ეკატერინოსლავის და გორიანენოვის სადგურებ შორის, მატარებელში ხუთი ბოროტ-გამზრახველი თავს დაეცა სამთა-მადნო მრეწველობის სააქციონერო საზოგადოების მეარტელეს, რომელსაც მალაროებში 11,000 მანეთი მიჰქონდა. მეარტელეს თან ახლდა ორი საერობო დარაჯი. სროლის დროს ბოროტ-განმზრახველებმა მოჰკლეს ერთი, დასჭრეს მეორე დარაჯი. მოკლულია ერთი ბოროტ-განმზრახველი. ბოროტ-განმზრახველებმა ფული სულ გაიტაცეს.

**პეტერბურგი.** სასამართლომ დაამთავრა ნაფიც-ვექილების ბაზუნოვის და ასანსონის და შულცის საქმე. ბრალდებოდათ ოლგა შტეინის სატუსაღოდან გაპარება. სასამართლომ სამივენი გაამართლა.

**ხარკოვი.** 5 თებერვალს სადგურ ვოლოდინის ახლო 15 შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველი შევარდა სამგზავრო მატარებლის მოსამსახურეთა განყოფილებაში. მოსამსახურეთა განყოფილებაში ამ დროს იმყოფებოდა რკინის გზის მეარტელე, რომელსაც ფული მოჰქონდა. ბოროტგანმზრახველებმა გადააგდეს სამი ყუმბარა, კასსა სულ ერთიანად დაიმტვრა, მეარტელე მოკვდა. ბოროტ-განმზრახველებმა სადგურ ვოლოდინოს ახლო დააყენეს მატარებელი, არხეინად გამოვიდნენ, წაიღეს ფული და იქვე ტყეში მიიმალნენ. ბოროტ-განმზრახველებს მდევარი დაადევნეს.

**ვარშავა.** დილით დელნოი ქუჩაზედ სამი ბოროტ-განმზრახველი თავს დაეცა შჩერბინსკის ქარხნის მოსამსახურეს. ბოროტ-განმზრახველებმა ქარხნის მოსამსახურეს წაართვეს 123 მანეთი და რევოლვერების სროლით ყრუ ქუჩებისკენ გაიქცნენ. მათ დაედევნა ქარხნის შვეიცარი. შვეიცარმა მოჰკლა ბოროტ განმზრახველი, რომელსაც ფული მიჰქონდა.

**კრონშტადტი.** სამართალში მისცეს გენერალ-მაიორი მარკოვი. მარკოვი მთავარი გამგე იყო კრონშტადტის ნავთსადგურის გასაღრმავებელ მუშაობისა. მას ჰბრალდება სამსახურის დროს სხვა და სხვა ბოროტმოქმედების ჩადენა.

**პეტერბურგი.** დილის 10 საათზედ საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატებმა დაათვალიერეს პეტრე-პავლეს და ქრისტეს აღდგომის ტაძრები და იმპერატორ ალექსანდრე მესამეს მუზეუმი. მუზე-

უმში დეპუტატები საათზედ მეტს დარჩნენ. ნაშუადღევის 2 ნახ. საათზედ დეპუტატები ცარსკოე სელოში მიიღო ხელმწიფე-იმპერატორმა. სასახლეში დეპუტატებს ჩაი მიართვეს, რის შემდეგ დეპუტატები პეტერბურგში დაბრუნდნენ. სადგურიდანვე დეპუტატები სახელმწიფო სათათბიროს სადგომში გაემგზავრნენ. სათათბიროში მათ დაუხვდნენ სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვი, მისი ამხანაგი ვოლკონსკი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე და მისი ამხანაგები და ზოგიერთი დეპუტატები. ფრანგმა დეპუტატებმა დაათვალიერეს სათათბიროს სადგომი. საღამოთი ფრანგ დეპუტატების პატივსაცემლად მარიამისთეატრში გაიმართა სადღესასწაულო წარმოდგენა. წარმოდგენის მთელი შემოსავალი გადაიდება პარიზში წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. 8 თებერვალს ფრანგ დეპუტატების სასარგებლოდ რესტორან „მედვედ“-ში გაიმართა ნადიმი. ნადიმს დაესწრო გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი, სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს თავმჯდომარე, მათი ამხანაგები და დეპუტატები. ნადიმზე ბევრი სადღეგრძელო წარმოითქვა, მათ შორის, ხელმწიფე-იმპერატორის და დედოფლის, სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს, რუსეთის და საფრანგეთის ერების, საფრანგეთის პარლამენტის, პრეზიდენტ ფალიერისა და სხვა. ილაპარაკა გარეშე საქმეთა მინისტრმა იზვოლსკიმაც. მან, სხვათა შორის, სთქვა: ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა მთავრობის სახელით სალამი მოგიძღვნათ. ვსარგებლობ შემთხვევით განვაცხადო, რომ თქვენი აქ ჩამოსვლა ნიშანია ორი ერის მეგობრობისა, იგი ხელს შეუწყობს ამ მეგობრობის განმტკიცებას. რუსეთ-საფრანგეთის კავშირი საერთაშორისო პოლიტიკაში დიდ როლსა თამაშობს, იგი ხელს უწყობს მშვიდობიანობის დაცვას. მე გთხოვთ, ბატონებო, გადასცეთ თქვენ ამხანაგებს, საფრანგეთის სენატორებს და დეპუტატებს, თუ რა ბედნიერება ვიგრძენით, როდესაც თქვენ რუსეთში გნახეთ. ვსვამ რუსეთის და საფრანგეთის სადღეგრძელოს. ამავე დღეს სამ მოთი ფრანგი დეპუტატები და სენატორები დაესწრნენ საზოგადოება „მშვიდობიანობის“ სხდომას. ილაპარაკეს ესტურნელმა, კორვან-მილევსკიმ და დეპუტატმა კოლენმა. სხდომის შემდეგ სტუმრები საუზმეზედ მიიწვიეს.

**ნიკოლაევი**. ქალაქის საბჭოს დადგენილებით სამართალში მისცეს ქალაქის ბანკის ყველა წევრები. ბრალდებათ სასამართლოს დროს სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენა.

# მოსყიდული ჟურნალისტები

**ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების კრება.**

როგორც მოსალოდნელი იყო, კვირას, 7 თებერვალს, ქალაქის საბჭოს დარბაზში დიდძალი ხალხი მიაწყდა. ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების კრებას ამ დღეს სიცოცხლე დაეტყო. კრებას უნდა განეხილა რუსულ გაზეთების ჟურნალისტთა მოსყიდვის საქმე.

გამგეობის თავმჯდომარემ ნაფიცმა ვექილმა გრუზენბერგმა 12 საათზე გახსნა კრება. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ მარიამ დემურიას ხსოვნას. შემდეგ წინადადება მისცა დამსწრეთ, აერჩიათ კრების თავმჯდომარე. არჩეულ იქმნა პავ. მარ. დოლუხანოვი.

გამგეობის წევრმა სპასსკიმ გააცნო კრებას მირზოევ-ყიფიან-ნაგურსკის საქმის ვითარება რამდენადაც იგი გამოირკვა სხვა და სხვა პირთა ჩვენებით და გაზეთებში დაბეჭდილ წერილებით. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რაშია საქმე, ამიტომ აღარ გავიმეორებთ. საინტერესოდ მიგვაჩნია ჩვენებანი ზოგიერთ პირთა. მოვიყვანთ ამას მოკლედ.

ბ-ნ ნესტოროვს, „ეჟენედ. ობოზ.“-ს ყოფილ რედაქტორს, განუცხადებია, არ ვიცი, რა ხელშეკრულების ძალით მოქმედებდნენ ბ-ნნი ლ. ყიფიანი და ნაგურსკი, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცით, რომ მირზოევისაგან ჰონორარს იღებდნენ ბ-ნი ლევან ყიფიანი 1909 წლის ივლისიდან, თვეში-120 მან., ხოლო ბ-ნი ნაგურსკი კი—90 მან. რომელ წყაროდან აძლევდა მირზოევი ამ ფულს არ ვიცი.

ვრცელი და რამდენადმე საინტერესო ჩვენება გაუგზავნია ჟურნალისტთა საზ. გამგეობისათვის ორშაბათის გაზეთ „კურიერის“ რედაქტორს ბ-ნ ტერ-ნერსესოვს. იგი ამბობს: გაზეთებმაც აღნიშნეს და ბატაილმაც დაამოწმა, ვითომ ჩემი გაზეთი „კურიერი“ ბელგიის უსახელო საზოგადოების ინტერესების დამცველ პრესსის სინდიკატის ორგანო იყოო, მაგრამ ეს მოკლებულია სიმართლეს, რადგან „კურიერი“ არასოდეს არა ყოფილა ასეთ ორგანოდ. სხვაა „ამხანაგობა კურიერი“ და სხვა გაზეთი „კურიერი“. ამხანაგ. „კურიერის“ არსებობა გავიგე მაშინ, როდესაც კავშირი შესწყვიტეს ჩემ გაზეთთან ბ-ნ მირზოევმა, ნაგურსკიმ, ყიფიანმა და ნესტეროვმა. რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას აღნიშნულ პირებთან, უნდა მოგახსენოთ შემდეგი: „კურიერი“ რომ გამოვეცი, განსაზღვრულის ჰონორარის დანიშვნით მოვიწვიე ბ-ნი ნაგურსკი. 1909 წლის მარტიდან რედაქცია სასყიდელს ვეღარ აძლევდა ნაგურსკის და მან თავი დაანება თანამშრომლობას. შემდეგ „კურიერის“ თანამშრომლობა დაიწყო ლ. ყიფიანმა, რომელიც რედაქციისაგან არას იღებდა, რადგან იცოდა ჩვენი სიღარიბე. ივნისში ყიფიანმა შემატყობინა, „კურიერს“ ფულით დახმარებას ჰპირდება მირზოევი და მთხოვა დაწვრილებით პირობების გასაგებად მასთან მივსულიყავ. ყიფიანის სიტყვით „ცნობილი მდიდარი“ სერგეი მირზოევი ვითომ რაღაც საქმეებს აკეთებდა, რათა უსაქმოდ დარჩენილ ჟურნალისტებს დახმარებოდა. მირზოევი საკუთარ ორგანოს დაარსებას აპირებდა თურმე, მაგრამ, გაიგო რა მე „კურიერში“ ვმუშაობ, აღმითქვა დახმარება და საკუთარ ორგანოს გამოცემაზე ხელი აიღო. ამის შემდეგ ბ-ნმა ყიფიანმა მირზოევისას წამიყვანა, სადაც დაგვხდა ნაგურსკიც. მირზოევმა იგივე გაიმეორა, რაც ყიფიანმა მითხრა. მირზოევმა განმარტა თავისი იდეა ჩვენი ქვეყნის მრეწველობის აღორძინების, წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა დაარსების, გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესების და სხვათა შესახებ. მირზოევმა ისიც მითხრა, რომ შენს გაზეთში ბ-ნნი ყიფიანი და ნაგურსკი უსასყიდლოდ იმუშავებენ იმ პირობით, თუ უამათოთ გაზეთში არაფერს გაუშვებთო. შენ დაგინიშნავთ 10 მან. ყოველ ნომერზე დეფიციტის დასაფარავად. შემდეგ ეს ფული მირზოევმა „ტერმოს“ ამხანაგობას (კუსსერის) განცხადებების ფასში ჩამოთვალა. ამ განცხადებებისა დღესაც მაკლია 85 მან. ამას გარდა მირზოევმა გაიდამაკინთან ქაღალდის კრედიტი გამიხსნა, ხოლო ყიფიანმა და ნაგურსკიმ უსასყიდლოდ დაიწყეს მუშაობა ჩემს გაზეთში. მირზოევი მალე საზღვარ-გარედ წავიდა. წასვლისას განაცხადა: მივდივარ, რათა ხელშეკრულება დაუდო იმ კაპიტალისტებთან, რომელნიც ხელს შეუწყობენ ამიერკავკასიის ვაჭრობა მრეწველობის განვითარებასაო. მირზოევის საზღვარ-გარედ წასვლის შემდეგ ტფილისში ხმა გავრცელდა, რომ მირზოევს ტფ. ჟურნალისტები მოუსყიდნია, უსახელო საზოგადოებას რაღაც განზრახვით დაახლოვებია და სხვა. ერთხელ მე ბატაილთან საქმე მქონდა. მან მკითხა ვინაობა ლ. ყიფიანის და ნაგურსკისა. საუბარი მოხდა მირზოევის მეგობარ კესსერთანაც (მირზოევის თხოვნით მის განცხადებებს ვბეჭდავდი), რომელმაც, სხვათა შორის, მითხრა, მირზოევი მალე ჩამოვა საზღვარ გარეთიდანაო. მითხრა ისიც, რომ მირზოევი შეურიგდა უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს და „კურიერის“ კოლლეგიის მდგომარეობა უზრუნველყოფილი იქმნაო. გავიდა ხანი და ნაგურსკიმ ბარათი მომწერა, ძალიან საჭირო საქმე გვაქვს შენთან და მოდიო. როცა მოველი, ნაგურსკიმ მითხრა, სტ. ჭრელაშვილს საზღვარ-გარეთიდან მირზოევისაგან წერილი მოსვლია და უნდა წავიდეთ, ის წერილი შენც უნდა მოისმინოო. წავედით ბ-ნ ჭრელაშვილთან, სადაც შემდეგი წერილი წავიკითხე:

„კურიერის“ გამომცემელს ავუხსენით, რომ „მის გაზეთში სამუშაოდ უზრუნველყოფილია ორი კარგი მუდმივი ჟურნალისტი და კანტორა. ოფიციალურს რედაქტორს თვეში მიეცემა 25 მან. და თითო ნომერზე 10 მან., თუ გაზეთი ჩემს განკარგულებაში გადმოვა, ხოლო მისი რედაქტორი ოფიციალურად დარჩება და ფაქტიურად საქმეს ჩვენ ვკისრულობთ. გარდა ამისა მთელი შემოსავალი რედაქციას მიეცემა. თუ რედაქტორს თვიურად დანიშნულ 25 მანეთიანად 75 მანეთზე მეტი შეუსრულდა, ხოლო გამომცემელს 100 მანეთი ჰხვდა, რაც მეტი ფული იქნება, ჩემს საკუთრებად ჩაითვლება. რედაქტორს ჩამოართვით ხელ-წერილი.

ამ ხელწერილში ის იყო აღნიშნული, თუ რა პირობით უნდა დაეთმო გაზეთი მირზოევისა და კამპანიისათვის. პირობით „კურიერისათვის“ მირზოევს უზრუნველ უნდა ეყო ორი კარგი თანამშრომელი, კანტორა და სხვა. ფაქტიურად საქმის ბატონ-პატრონი მირზოევი უნდა ყოფილიყო. მე დავრწმუნდი, რომ ჩემი გაზეთის სრულიად ხელში ჩაგდება უნდოდათ და ამიტომ პირობის ბარათზე ხელის მოწერაზე უარი განვაცხადე, კარგა ხანს მარწმუნებდნენ ბ-ნი ჭრელაშვილი და ნაგურსკი, ხელი მომეწერა, მაგრამ მე უარზე ვიდექ. ნესტეროვმა (რედაქტორმა) მაცნობა მირზოევის მოსვლა და ისიც მითხრა, ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვცეთ „ყოველკვირეული კურიერი“, თუ არ დასთანხმდები „კურიერის“ გადაცემაზეო. წაველით მირზოევთან და როცა იმასაც უარი უთხარი გაზეთის დათმობაზე, მან მითხრა „ეჟენედ. კურიერს“ გამოვცემთო. როცა შევეკითხე, რატომ უსათუოდ „კურიერი“ უნდა გამოსცეთ მეთქი, მან სთქვა: სხვანაირადაც არ შეგვიძლიან მოვიქცეთ, რადგან კაპიტალისტებთან „კურიერის“ სახელით ვართ შეკრულიო. ამის შემდეგ სრულიად შევსწყვიტე მათთან საქმე და რედაქტორის გამოსაცვლელად (ნაცვლად ნესტერევისა) განცხადება წარვუდგინე მთავრობას. რადგან ვერ მოახერხეს „ეჟენედ. კურიერის“ სახელით გაზეთის გამოცემა, გამოსცეს „ეჟენედ. ობოზრენიე“. „კურიერ“-ში თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ ყიფიანმა და სხვა. გაზ. „ზაკავკ.“-ში წერილიც კი მოათავსეს.

როდესაც მთელი მასალის მოხსენება დამთავრდა, ბ-ნმა ვლ. ნაგურსკიმ შემდეგი განუცხადა: რაც გაზეთებში იყო „პრესის სინდიკატის“ მოსყიდვის შესახებ, ცილის წამებად მიმაჩნია. მე კრებას მოხსენებას წარმოუდგენ და მთელ ჩვენს გასამართლებელ საბუთებსაც ვაცნობებ, თუ კრება რაიმე ზედგავლენას იქონიებს „ტფ. ლისტოკსა“ და „ნოვ. რეჩის“ რედაქციებზე და ჩემი მოხსენება მათ გაზეთებშიაც დაიბეჭდება, რომ მათის მკითხველების წინაშეც თავი ვიმართლო.

თავმჯდომარემ დააყენა შემდეგი საკითხი: საკმაოა თუ არა აქ წარმოდგენილი მასალა აღნიშნულ საქმის შესახებ და ეხლავე შეუდგეთ თუ არა განსჯას ბრალდებულ ჟურნალისტებისას, თუ საჭიროა გამოძიების დამთავრება, რისთვისაც უნდა არჩეულ იქმნას განსაკუთრებული კომისია. ამ საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია.

**პეტ. გელეიშვილმა** სთქვა: მე შემიძლიან ფაქტიური მასალა ბრალდებისა შევავსო ჩემ მიერ მოპოვებულ ცნობებით. მე მგონია, საკმაო მასალაა, რომ მსჯელობა ვიქონიოთ ჟურნალისტების არა-საკადრის საქციელის შესახებ. გადადება კრებისა მეტად მიმაჩნია.

**ილ. ნაკაშიძე** წინააღმდეგი ყოა ამავე კრებაზე საქმის განხილვისა. მან სთქვა: ბრალდებულთა პასუხი ჯერ არ გაგვიგონია. მათ არც გაზეთებით, არც სიტყვიერად და არც წერილობით არა უთქვამთ რა და ასეთ პირობებში ბრალდებულთა განსჯა სასურველი არ არის. ჩემის აზრით, ჩვენ არ უნდა დავკმაყოფილდეთ აქ მოხსენებულ მასალით. რადგან საკითხი დიდად სერიოზულია და პასუხის-გება სამძიმო, უნდა აუჩქარებლად და დინჯად განვაგრძოთ საქმის გამოძიებაო.

**გ. დიასამიძეს** შესაძლებლად მიაჩნდა საქმის განხილვა. მან სთქვა: საკითხი ბ-ნთ ყიფიანისა და ნაგურსკის შესახებ უნდა ორ ნაწილად გავყოთ. პირველი საკითხი, რომელიც დღესვე შეგვიძლიან გავარჩიოთ, არის ის, რომ ჟურნალისტებმა ხელშეკრულება დასდეს მირზოევთან, ეს ხელშეკრულება ყიფიან-ნაგურსკისა დამტკიცებული ფაქტია, და, როგორც არა საკადრისი საქციელი, დაგმობილ უნდა იქმნეს დღესვე. მეორე საკითხი შეეხება მირზოევის მიერ ამავე ჟურნალისტების მოსყიდვას. ეს საკითხი გამოურკვეველია და ამიტომ გამოძიება საჭირია ჩემის აზრით, ჟურნალისტებმა არ იცოდნენ რა მახეში აბამდა მათ ბ-ნი მირზოევი.

**სერგ. ჯაფარიძე**. ბ-ნ ილ. ნაკაშიძის თანახმად, საჭიროდ სცნობს არჩეულ იქმნეს კომისია, ან თვით გამგეობას დაევალოს საქმის გამოძიების დასრულება. უსათუოდ უნდა მოვუსმინოთ ბრალდებულებს.

ესვე აზრი გამოსთქვა კ. ჯაფარიძემ. ბუხშტეინი, გრუზენბერგი, მეიეროვი და სხვები საკმაოდ სცნობდნენ წაკითხულ მოხსენებას.

**პეტრე გელეიშვილი**. გამოძიების გაგრძელება საჭირო აღარ არის. გადადება საქმეს უფრო ბურუსში გაახვევს. გამოძიებამ რაღა ახალი ფაქტები უნდა შეგვძინოს იმაზე მეტი რაც ვიცით? ყიფიანსა და ნაგურსკის თუ თავის გამართლება უნდოდათ, განა ამდენ ხანს არ შეეძლოთ. ეტყობათ არაფერი აქვთ თავის გასამართლებელი, თორემ რით აიხსნება სიჩუმე. განა ასეთ საშინელ ბრალდებაზე გაჩუმება შეიძლება? ლ. ყიფიანმა ჩვენს საზოგადოებას დიდი ხანია მიანება თავი და შეიძლება არად ჩააგდოს ჩვენი აღშფოთება ნაგურსკი კი თუმცა წევრია დღემდე ჩვენის საზოგადოებისა, მაგრამ ამბობს, წევრი არა ვარო. არც უნდა თავი იმართლოს. ამის შემდეგ ვიღას უნდა გამოვკითხოთ რამე გამოძიების დასასრულებლადა. თუ აქვს რამე სათქმელი ბ-ნ ნაგურსკის, აი მგონი იქა ბრძანდება (უჩვენებს ფოიეზე). მოვიდეს და მოგვახსენოს.

კარებიდან ნაგურსკის პროტესტი ისმის. დარბაზში ჩოჩქოლი ასტყდა. ზოგი ნაგურსკის იწვევდა, თუ სათქმელი გაქვთ რამე, მობრძანდით და აქ ილაპარაკეთო. ნაგურსკი, ძალზე გაფითრებულ-აღელვებული, შემოვიდა

# ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი

**კაცობრიობის ტრაგედია.**

**14 *)**

ცხოვრება რომ ისეთი რამ ყოფილიყო, რაც უცვლელად ერთგვარად-არსებობს და ამ უცვლელ არსებობით სავსებით იაზღვრება, ყოვლად შეუძლებელი იქმნებოდა ის ძირითადი წინააღმდეგობა არსებულსა და სავალდებულოს, სინამდვილესა და იდეალს, ფაქტიურსა და ნორმატიულს შორის, რომელიც ადამიანურ ცნობიერების აუცილებელს ფაქტს შეადგენს და რომელიც აუხსნელი რჩება როგორც თეოლოგიურ, ისე რაციონალისტურ მორალის მიერ. მაგრამ ცხოვრება შეუჩერებელი ცვლებადობაა: თვით ცხოვრების არსში სძევს პრინციპი განვითარებისა, წინსვლისა, გაფართოებისა. ცხოვრების დედა აზრს შეადგენს განვითარება, განვითარებისას კი—ყოველ უკვე მიღწეულ საფეხურის უარყოფა, შემდგომ, უფრო მაღალ საფეხურის სახელით. აქ არის ძირითადი წყარო სიკეთის და ბოროტების გათიშვის, ზნეობრივად სავალდებულოს გამოყოფისა: ადამიანურის თვალთსაზრისით სავალდებულოთ და კეთილია ის, რაც ცხოვრებას შეგნებულად ამდიდრებს, აძლიერებს, ამრავალფეროვნებს; უზნეო და ბოროტი ის არის, რაც მას აღარიბებს, ასუსტებს, აკნინებს. აქ არის აგრეთვე ძირითადი წყარო კაცობრიობის ტრაგედიისა: მუდმივ მიუღწეველია ზნეობრივად სავალდებულო, თუმცა მუდმივ მისკენ არის მიმართული ცხოვრების მსვლელობა. მომავლის ჰორიზონტზე არა სჩანს ისეთი საზღვარი, სადაც ისტორიულ განვითარების შეჩერება შეიძლებოდეს, იმ რწმენით, რომ ადამიანური ვალი აღსრულებულია და აღთქმული ქვეყანა მიღწეული. ვერასოდეს ვერ მოჰხრის მოსასვენებლად თავს მუდმივ მშფოთი, მუდმივ მაძიებელი კაცობრიობა, სანამ სიკვდილი, ბუნებრივი დასასრული ყოველ სიცოცხლისა, თავის რკინისებრ მძიმე ხელს არ დაადებს მის მიერ შექმნილს სულიერს კულტურასაც.

მაგრამ არა მარტო იდეალის მიუღწევლობაში და სიკვდილის აუცილებლობაში სძევს კაცობრიობის ტრაგიკულ ხვედრის მიზეზი. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ რაც უფრო განვითარებული ჰხდება ადამიანი, რაც უფრო მაღლა ადის იგი გონებრივად და ზნეობრივად, მით უფრო შესამჩნევი და გადამწყვეტი ჰხდება იმის ბუნებისთვის მისი ისტორიულ წარსულის გავლენა. ისტორიული წარსული კი, თვით დროების დედა არსის გამო, ბედისწერის იდეის განხორციელებაა. ისტორიულად განუვითარებელი შეგნება თავის თავს აბსოლუტურად თავისუფლად სთვლის: ველური უგულწრფელესი ინდეტერმინისტია. მხოლოდ ისტორიულად გაფართოებული ცნობიერება ჰგრძნობს მთელის სიმძაფრით თავის არსების განსაზღვრას შეუცვლელ წარსულის მიერ, თავის ცალმხრივს დამოკიდებულებას ისტორიულად განვლილ სამართლიანობის თუ უსამართლობის, სიკეთის თუ ბოროტების, დიდბუნებოვანობის თუ უბადრუკობისაგან. რა საშინელებით და რა სიდიადით არის აღვსილი ერთსა და იმავე დროს ეს ცოდნა, რომ შენი სულის ყოველი უწვრილესი სიმი, შენი ბუნების უსაიდუმლესი კუნჭული მიზეზობრივს ურთიერთობაში იმყოფება უშორეს, ხშირად გონებრივს მიუწდომელს ისტორიულს მდგომარეობასა და არსებასთან!

მხოლოდ ამ მთლიან, ისტორიულ თვალთსაზრისით შეიძლება ჩაითვალოს კაცობრიობა ტრაგიკულს გმირად, ხოლო მისი წარსული ბედისწერის იდეის მატარებლად. თუ ჩვენ მას მხოლოდ ინდივიდუალისტურის საზომით გავზომავთ, თუ ადამიანობას მისი ისტორიულად განვლილ ობიექტურ კულტურისაგან გამოვთიშავთ და ცალ-ცალკე, ურთიერთშორის დამოუკიდებელს ელემენტად დავყოფთ, მაშინ ის შეიძლება მართლაც უფრო უაზრო კომედიანტს დაემსგავსოს, რომელიც ყოველთვის სხვის მოტყუებას სცდილობს და ყველაზე მეტად თავისავე თავს ატყუებს. ამ უმართებულ და ვიწრო, განსაზღვრულ შეხედულებისთვის შეიძლება შოპენჰაუერი მართლაც ჭეშმარიტებას ჰღაღადებდეს: ადამიანი იაფ-ფასიანი, მდარე საქონელია, რომელსაც ბუნება—ეს უზარმაზარი ფაბრიკა—ნარდით ისვრის ბაზარზე; და ორი თვისება ახასიათებს ამ ცოცხალს საქონელს: ღრმა სისულელე და უაზრო ბოროტება. ძლიერ, ძლიერ იშვიათად, ერთხელ მთელ საუკუნოების განმავლობაში, ის ამ ნაგავშიც გამოურევს ხოლმე ობოლს მარგალიტს, გენიოსურს პიროვნებას და იმასაც მხოლოდ იმიტომ, რომ ამით კიდევ უფრო ნათელჰყოს ადამიანობის საერთო უნიჭობა და სიუბადრუკე. და მართლაც, თუ „ისტორიულს ადამიანს“ ისტორიულსავე პერსპექტივას ძალდატანებით გამოვაშორებთ, თუ დამოუკიდებელს ატომად მივიჩნევთ იმას, რაც ნამდვილად მხოლოდ დიადს ორგანიულს მთლიანობაში სცხოვრობს, მაშინ არა თუ საშუალო მომაკვდავი, არამედ თვით პერიკლესი და ალექსანდრე მაკედონელი ან ლეონარდო დავინჩი და მიქელ ანჯელო მოგვეჩვენება უსრულო და განსაზღვრულ არსებად, ერთ რომელიმე მნიშვნელოვანის მხრივ მაინც: ყოველს შემთხვევაში უდიდეს და უნიჭიერეს პიროვნებასაც შეიძლება აღმოაჩნდეს პატარა ნაწილაკი იმ ორ „დამახასიათებელ თვისებისა“, რომელთაგან უკანასკნელი არც თვით „ფილოსოფიურს გენიოსს და ბრძენს“ შოპენჰაუერს ჰკლებია თვალსაჩინოდ. და მართლაც, ვინ არის ეს ადამიანობის პესსიმისტი მსაჯული, რომლის **ობიექტურ-კულტურული** შემოქმედება და ანდერძი **გერმანელთა ისტორიის** ამამაღლებელს და გამაკეთილშობილებელს ფურცლებს წარმოადგენს? მხდალი ეგოისტი ფართო თვალებით სხვის ნაკლულოვანების დასანახავად და მიჩლუნგებულ ალღოთი თავისივე საკუთარ ცოდვების საგრძნობად.

საჭიროა ავმაღლდეთ ამ უღირს ატომისტურს და ინდივიდუალისტურს შეხედულებაზე, საჭიროა ადამიანობას ვუცქიროთ, ისე როგორც იგი სინამდვილეშია, ე. ი. როგორც იგი არა მარტო ჩვენს აბსტრაქციაში, არამედ თავის ისტორიაში იშლება, საჭიროა დავინახოთ, რომ კაცობრიობა მეტია, ვიდრე უბრალო გროვა ხშირად უმნიშვნელო, ერთი მეორესაგან დამოუკიდებელს ელემენტთა და ჩვენში აღმოცენდება ღრმა, გულწრფელი რწმენა ადამიანურ სიდიადისა, მშვენიერებისა და გენიოსობისადმი. ხშირად კაცს **ადამიანები** ცალ-ცალკე უფრო სძულს, ვიდრე უყვარს, მაგრამ მაინც **ადამიანობის** თაყვანისმცემელი რჩება და ხშირად კაცს ეზიზღება თავის თანამემამულეთა სილაჩრე, სულმოკლეობა, უნიჭობა და მცონარეობა, მაგრამ მაინც ძლიერის პატრიოტიზმით არის გამსჭვალული: ეროვნული და ჰუმანიტარული გრძნობა არ არის არჩილების ან ალფრედების სიყვარული და პირველთა ან მეორეთა არჩევა სანტიმენტალურ ცრემლების დასაფქვევად; არც პირველნი და არც მეორენი ცალ-ცალკე შეიძლება სრულიადაც არა ფასობდნენ იმდენად, რომ მათთვის ღირდეს თავის შეწუხება, მით უმეტეს თავის განწირვა. პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი არის უწინარესს ყოვლისა სიყვარული და მოკრძალება დიად ეროვნულ და კაცობრიულ გენიოსობის წინაშე, იმ ისტორიულ სულის წინაშე, რომელიც ობიექტურს კულტურულს შემოქმედებაში თავის უკვდავების ძეგლს იდგამს. თავის თავს ცნობა ამ ისტორიულ ძალის ნაწილად, თავის პიროვნების, ე. ი. სუბიექტურ სულის მის ქვემდებარე ნაწილად აღიარება და შემოქმედება იმ მხრივ, რა მხრივაც ის უნდა ვითარდებოდეს—აი, ნამდვილი შინაარსი ნათლად გაგებულ ნაციონალისტურ თუ ჰუმანიტარულ გრძნობისა, რომელიც ხშირად ადამიანთა და მათ სისუსტეთა სიძულვილით და მხილებით საზრდოობს.

დიდი ზნეობრივი ტრაგედიაა კაცობრიობის ისტორია საერთოდ, თუმცა ცალკე პიროვნებათა ცხოვრება შეიძლება უფრო ხშირად უშინაარსო და ზნეობრივად ულირსს ფარსს ჰგავდეს. მართლაც რა არის აღმოსავლეთის, საბერძნეთის, რომის, პირველყოფილ ქრისტიანობის ისტორია, ან ჯვაროსანთა ომები, აღორძინების ხანა, რეფორმაცია, „ბრძოლა ესპანიის მემკვიდრეობისთვის“, „ბრძოლა თეთრსა და ალისფერს ვარდს შორის“, „ოცდაათი წლის ომები“, რევოლუციის ეპოქა, ნაპოლეონის ომები, ბრძოლა ეროვნულ თავისუფლებისთვის და სხ. და სხ., თუ არ უზარმაზარ, შემაძრწუნებელი მოქმედებანი მსოფლიო დრამისა, რომელიც შეუწყვეტლივ საბედისწერო აუცილებლობით, ეხლა გათვალისწინებულით უუმცირეს მიზეზებამდე, ამხობს და ანადგურებს ცხოვრებას, რათა მეტი ცხოვრება შექმნას? სადაა ამ ტრაგედიის დასასრული, თუ არ მის მატარებლის საბოლოო დამარცხებაში და სიკვდილში და სადაა მისი ზნეობრივი გამართლება, თუ არ თვით უზენაეს ადამიანობის იდეაში, რომელიც მიღწეულ უნდა იქმნას, მაგრამ რომელიც სავალალოდ ჭეშმარიტად არასოდეს არ იქმნება მიღწეული?!..

განა მთელი ეს სანახაობა, უალრესი და უბრწყინვალესი ყოველ სანახაობათა შორის, იმავე მოდგმის ქმნილება არ არის, რომელიც თავის ყოველდღიურს არსებობაში, თავისავე წარსულს და, მაშასადამე, მთლიანობას მოწყვეტილი, ხშირად ასე გაუტანელია, მხდალი, ეგოისტური, სულმდაბალი, უნიჭო? თვით ქართველი ერი, რომელსაც თუ ინდივიდუალისტურის დახასიათების თვალთსაზრისით შევხედავთ, ასე ნათლად ეტყობა დღეს მცონარეობა, პასსივობა, თავის თავს უპატივცემლობა, რომელსაც ძვალსა და რბილში წამბძველობა აქვს გამჯდარი და უკულმართი მახიობობა, მახიობობა შინაც და გარედაც მხიარულებაშიაც და მწუხარებაშიაც, უშემოქმედობაშიაც და იდეალებისთვის ბრძოლაშიც,—განა ეს დღეს შინაურების და გარეულების მიერ ყბად აღებული ქართველი ერი,

*) იხ. „დროება“ № 27.

და სიტყვა ითხოვა. დამსწრენი სმენად გადაიქცნენ.

**ვ. ნაგურსკი**. ბ-ნი გელეიშვილი და სხვანი მიკიჟინებენ, რატომ აქამდე ხმას არ ვიღებ და არასა ვწერ თავის გასამართლებლად. ბ-ტონებო, სად გავიმართლო თავი, სად დავწერო, როდესაც რუსულ გაზეთებმა, „რეჩ." და „ტ. ლისტოკმა", გზები შემიკრეს და ერთი ჩემი წერილიც არ დაბეჭდეს. მოსყიდვაზე, მექრთამეობაზე ისეთმა გაზეთებმაც კი აიმაღლეს ხმა, რომელთა „არა კეთილ სინიდისიერობასა" და „არა სიფაქიზეში" ყველანი ვართ დარწმუნებულნი. კარგად ჰგრძნობენ, ვისზედაც ვლაპარაკობ (თავით უჩვენებს ივ. ხეჩატუროვისკენ.)

ვ. ელიავა, „ლისტოკის" თანამშრომელი ფეხზე წამოვარდა და რაღაცას ყვიროდა და უშლიდა ნაგურსკის, ელიავას მხარი მისცეს ზოგიერთებმა და დარბაზში ხმაურობა ასტყდა. ქანდარიდან: ჰყვირიან, ნუ დაუშლით ლაპარაკს, ვთხოვთ განაგრძოს ნაგურსკიმ ლაპარაკი. ივ. გ. ხეჩატუროვმა აღელვებულის ხმით დაიძახა: „ბატონებო! დაწყნარდით, მე ნებას, ვაძლევ ორატორს, რაც ენებოს, ისა ბრძანოს".

**ვ. ნაგურსკი** მე არ შემიძლიან, არ დავახასიათო მოკლედ მაინც ის გარყვნილი ატმოსფერა ტფ. რუსულ ჟურნალისტიკისა, სადაც ყოველი ჭეშმარიტება ხშირად ფეხ-ქვეშ ითელება რაღაც ქვენა გრძნობებისა და ანგარიშების გასასწორებლად. ათასჯერ მახსოვს დამახინჯება ჩემის წერილებისა „ტიფ. ლისტ."-ის რედაქტორისაგან, სადაც, საუბედუროდ, ერთ დროს ვთანამშრომლობდი. ას წერილზე მეტი დამიბრუნეს უკანვე ამ რედაქციიდან მხოლოდ იმიტომ, რომ ბ-ნ ხეჩატუროვს არა სურს ხოლმე აწყენინოს ვისმეს. აი, ასეთ ნათლიმამობისა, ასეთ დახავსებულ ატმოსფერაში მყოფი, მე, ღარიბი კალმოსანი, შევხვდი ბ-ნ მირზოევს, რომელმაც დიდებული სურათი გადმიშალა იმისა, თუ როგორ უნდა განთავისუფლდეს გულწრფელი პრესსა ტფილისის ი გამეფებულ „ხეჩატუროვშჩინისაგან". უნდა ბოლო მოეღოსო,—მითხრა მირზოევმა,—„ხეჩატუროვშჩინას". უნდა შევუდგეთ ზრუნვას უნდა ისეთი პირობები შევქმნათ, რომ ჩვენ მთებში დამარხული სიმდიდრე ამოვიღოთ და ხელი შევუწყოთ ჩვენის ქვეყნის ეკონომიურად და გონებრივად ამაღლებასაო. ჩვენ უნდა ხელი შევუწყოთ ევროპიულ კაპიტალის გავრცელება—გალონიერებას ჩვენში. მე ვადგენ ამხანაგო ას ამ აზრით და რადგან პროპაგანდაა საჭირო, გაზეთიც უნდა გავიჩინოთო. მირზოევთან შეთანხმებას სამმა გარემოებამ შეუწყო ხელი. პირველი ის, რომ მირზოევს ყველა სინდისიერ კაცად იცნობდა. შეძლებული კაცი, განათლებული ხმოსანი, ავლაბრის „პაპაშა" და სხვა ამისთანები გვაფიქრებდა, რომ მირზოევი ცუდ საქმეს არ ჩაიდენდა. მეორე გარემოება ის იყო, საჭირო იყო ტფილისში ერთ დამოუკიდებელ და სუფთა გაზეთის დაარსება. მესამე ის, რომ ჩვენ უსაქმოდ ვიყავით და საქმე გვინდოდა გაგვეჩინა. ყოველმავე ამან შეგვიყვანა შეცდომაში და მართლაც მივეცით რწმუნების ქაღალდი მირზოევს, თუმცა ქაღალდში შევიტანეთ მუხლი, რომ მოქმედებისათვის თავისუფლებას ვიტოვებდითო. რაც შეეხება ჰონორარს, არ მომსვლია აზრად მეკითხა მირზოევისთვის, სად შოულობდა ფულს. მე ვმუშაობდი თითქმის ყველა ტფ. რუსულ გაზეთში და ერთხელაც არ მიფიქრია მეკითხა, საიდან მაძლევდა ჰონორარს ან ხეჩატუროვი ან ამირეჯიბი და ან სხვა. ჩვენ თვალები აგვეხილა 5 იანვრის უბედურ ამბ. ყველაზე უფრო ცხარე წერილები მოვათავსეთ „იჟენედ. ობოზრენიეში" მირზოევი დაგვემუქრა და კიდეც აგვიკრძალა წერილების წერა. ბოლოს ეს ამბავიც გამოტყდა. ჩვენ მხოლოდ იმაში ვართ დამნაშავენი, რომ აჩქარდით და ვენდეთ მირზოევს. დასასრულ ვითხოვ, ნება მოგვეცეთ მოხსენება წარმოვადგინოთ დაწვრილებით იმ პირობით, რომ რუსულ გაზეთებში უკლებლივ დაიბეჭდოს.

კრებამ 15 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 11 ხმისა დაადგინა, შეუდგეს არსებითად ამავე სხდომაზე საქმის განხილვას.

**პ. გელეიშვილმა** საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა. მე მინდა ერთად ფაქტით შევავსო,—დაიწყო პ. გელეიშვილმა,—გამგეობის მოხსენება. მირზოევთან ჩემს დღეში საქმე არა მქონია, მაგრამ მასზე ბევრი რამე კარგი მსმენია. როდესაც პირადად გავიცანი, ერთი ფაქტის გამო, უფრო ნათლად წარმომიდგა მისი გულკეთილობა. ყუნცვაში ერთი ამხანაგი გარდაგვეცვალა და როდესაც მირზოევს მიმართეს, მან დახმარება გაუწია. ასეთმა ფაქტებმა მაიძულეს მომელაპარაკნა მირზოევთან გაზეთის გამოცემაზე. ზაფხულს ქვიშხეთში ვიყავი. მოვიდა დ. ყიფიანი და მითხრა, მირზოევს მეთაურობით დიდ ყოველდღიურ გაზეთს ვაარსებთ და ჩადი ტფილისში. პირობებზე მოვილაპარაკებდითო. ჩამოვედი ტფილისში მირზოევთან. ფრთხილად-კი ვიქცეოდი. გაზეთის გამოსაცემად ადრიცხვა შევიმუშავე. ჩემის ანგარიშით, კვირაში თითო ნომერს 68 მან. უჯდებოდა. მივედი მირზოევთან. მან დიდი ამბით მიმიღო, საათნახევარი მელაპარაკა იმაზე, თუ რა დონის ძიებანი უნდა მივიღოთ ჩვენის ქვეყნის ასაყვავებლად, მაგრამ ვერ გავიგე, რად მელაპარაკებოდა ამას. მისი სიტყვა ისეთი რიხიანი იყო, რომ პატარა ხანს მეც გამიტაცა. გაზეთის გამოცემაზე ერთი სიტყვაც არ დასძრა, მხოლოდ როცა მოვიდა და მეც სიტყვა ჩამოუგდე გაზეთის გამოცემაზე, მითხრა, გაზეთი უკვე გვაქვს და იქ სწერე, თუ'ცა შეგიძლიათ, სადაც გნებავთ, იქა სწერეთო. მე სუბსიდია მაქვს, თვეში 500 მან., აქედან თქვენც დაგენიშნებათ ჰონორარი და სწერეთო. უკეთესი იქნება, თუ სხვა და სხვა გაზეთში დაიცვათ ინტერესებს იმ საზოგადოებისას, რომელსაც ჩვენ დავაარსებთ ჩვენის ქვეყნის საკეთილდღეოდაო. მირზოევმა ისიც მითხრა: გინდ ფიზიოლოგიაზე, გინდ ბიოლოგიაზე სწერეთ, ჰონორარს მაინც მიიღებთო. მე მივხდი, მირზოევი რაღაც ხათაბალას აგებდი და გამოვემშვიდობე. ცხადა მივხდი რა სწადდა მირზოევს. ნაგურსკი ამბობს, ჩვენ ერთი სიტყვაც არ დაგვიწერია უსახელო საზოგადოების ინტერესების დასაცველადაო. ეს სიმართლეს მოკლებულია. შეიძლება ბევრს არ ახსოვს „ზაკავკ." ყიფიანის სტატიები „ავლაბარსკაია თუ სოლოლაკსკაია დირა". ეს სტატიები გადათარგმნა ფრანგულად და გაგზავნა ბრიუსელში უსახელო საზოგადოებას. ასევე გაიგზავნა ნაგურსკის სტატია. გადათარგმნეს და გაგზავნეს აგრეთვე ერთი ხმოსნის წერილი. ეს ხმოსანი აქებდა და იცავდა უსახელო საზოგადოებას. ასეთ ხმოსანს წინადადება უნდა მიეცეს, გაიდეს საბჭოდან. ეს ხმოსანი გახლავთ სტ. ჭრელაშვილი (აღელვება), ის ჟურნალისტები, რომელთაც ხელ-შეკრულებების ძალით სული მიჰყიდეს მირზოევს, პუბლიცისტები არ არიან. მათ ნება არა აქვთ თავიანთი ჭუჭყიანი ხელი ათვითურთ მწერლობის წმინდა ტაძარში, რადგან მათაც ხელი შეუწყვეს იმას, რომ ქალაქის გამგეობამ ბელგიის უსახელო საზოგადოებას გაუგზავნა ქების ფურცელი. მეორედ შევხვდი მირზოევს და მითხრა, ბატაილთან და უსახელო საზოგადოებასთან ყოველივე კავშირი შევწყვიტეო. ეს მოხდა ბატაილის დაბრუნებამდე. 5 იანვრის ამბავმა დაანგრია გამწვავება სინდიკატისა და ბატაილის შორის. 5 იანვარს მომხდარ ამბის გამო არც ერთ გაზეთში ისეთი ცხარე სტატიები არ ყოფილა მოთავსებული, როგორიც „იჟენედ. ობოზრ."-ში და ეს გახლავთ შედეგი არა იმისა, რომ ხელშეკრულებით თავისუფლად მოქმედების უფლება ჰქონდა ნაგურსკი-ყიფიანს, არამედ იმისა, რომ ეს ბატონები ჩაცვივდნენ იმ მდგომარეობაში, როგორშიაც რჩება მიტოვებული შეუვსებელი ქალი, უსახელო საზოგადოებისგან ფული ვეღარ მიიღეს და აი ამით გამწარებულნი მიესივნენ უსახელო საზოგადოებას. მირზოევს კარგად ვიცნობთ, ხოლო რაც შეეხება ნაგურსკისა და ყიფიანს, მათ არ ეპატიებათ ასეთი საქციელი და მათ მოქმედებას ჩვენმა საზოგადოებამ ანგარიში უნდა გაუწიოს. (ძლიერი ტაში).

**ბუკშტეინი** შეეკითხა ნაგურსკის: გვითხარით, რა აზრი ჰქონდა თქვენ ხელშეკრულებასაო.

**ნაგურსკიმ** მიუგო: გულში რა ჰქონდა მირზოევს, არ ვიცოდით, ხოლო ისე კი გვარწმუნებდა, ამა და ამ კეთილ საქმისათვის მინდაო.

**ბუკშტეინი**. თუ მიზანი სუფთა და აშკარა იყო, რატომ სხვა თანამშრომლებმა არა იცოდნენ-რა?

**ნაგურსკი**. იცოდნენ, როგორ არ იცოდნენ: ხელშეკრულების არსებობა, ყიფიანს გარდა, იცოდა მინასაზოვმა, ნესტეროვმა და სხვ.

**ბუკშტეინი**. ოსტროვსკიმ იცოდა თუ არა?

**ნაგურსკი**. იგი აქ არის, თითონ მასა ჰკითხეთ.

**ოსტროვსკი**. მე ეგ არ ვიცოდი, მაგრამ ის კი ვიცოდი, რომ ნაგურსკი და ყიფიანი უზრუნველ ყოფილნი იყვნენ ჯამაგირებით ერთი წლინახევრით. ყიფიანი იღებდა 120 მან., ხოლო ნაგურსკი—90 მან.

ილ. ნაკაშიძემ კიდევ ჩამოაგდო ლაპარაკი საქმის გადადების და გამოძიების დამთავრების შესახებ. ნაკაშიძეს მხარი დაუჭირეს გელეიშვილმა ამირეჯიბმა ს. ჯაფარიძემ და სხვებმა. კრებამ დაადგინა აირჩიოს განსაკუთრებული კომისია და დაავალოს ორისკვირის განმავლობაში წარუდგინოს ჟურნალისტთა კრებას აღნიშნულ საქმის შესახებ დამთავრებული გამოძიება.

კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ პ. გელეიშვილი, სერ. ჯაფარიძე, სპასკი, ბუკშტეინი და ვარდანიანცი.

# დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი**. მარტის პირველ რიცხვებში აქ მოხდება მთელ რუსეთის მწერალთა კრება. შარშანდელ კრებაზე არჩეულ კომიტეტის მიერ შემუშავებულ პროგრამიდან სამინისტრომ ამოშალა ორი საკითხი („დღევანდელი უფლებრივი მდგომარეობა ბეჭდვითი სიტყვისა" და „უცხო ერთა ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობა"), რომელიც უნდა განხილულიყო მომავალ კრებაზე. ასეთ ცვლილების გამო ზოგნი კრებას უმნიშვნელოდ სთვლიან და მონაწილეობის მიღებას არ აპირებენ.

კირიონ ეპისკოპოზის და დეკანოზ ვოსტორგოვის საქმის წარმოება უკვე დაიწყო პეტერბურგის მე-29 ნაწილის გამომძიებელმა დაიბარა ორივე მხარე, მაგრამ ვოსტორგოვი არ გამოცხადდა. საქმე გადაიდო. კირიონმა სჩივარში განაცხადა: „ვოსტორგოვი თავის ნაწერებში და მოხსენებებში ცილსა მწამებდა და მაბეზღებდაო".

# ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ვერის დაღმართზე მომხდარ უბედურების შედეგი**. როგორც „კავ." გადმოგვცემს, გამომძიებელს მოუსპია საქმე ვერის დაღმართზე მომხდარ უბედურების შესახებ, რადგან დამნაშავედ ვერავინ უცვნია.

✦ **შეკითხვა ხმოსნების შესახებ** როგორც ვწერდით, ტფ. ქალაქის გამგეობა შეეკითხა გაზეთ „ზაკავ."-ს თანამშრომელს ოსტროვსკის, დაასახელოს რომელი ხმოსნები ჰყავდა მხედველობაში „ზაკ."-ში მოთავსებულ წერილში. ოსტროვსკიმ გამგეობას აცნობა, რომ მისი წერილი შეეხება ხმოსნებს ტიგრან ა. ენფენჯიანს, არ. მ. ახნაზაროვს და სტ. თ. ჭრელაშვილს; ბ-ნ ენფენჯიანცის შესახებ ბ-ნი ოსტროვსკი ამბობს, რომ შეცდომაში შემიყვანესო; თუმცა ენფიანჯიანცის მეუღლე მონაწილეა „ინჟენერის" საზოგადოებისა, მაგრამ საქმეებს იქ სხვა კაცი აწარმოებს და არა ენფიანჯიანციო.

✦ **ბავშვის გატაცება**. 4 იან. ვ-რს ტფილისში [illegible] იტაცეს სომხეთა ცენტრალ მწერლის სოლოვიანის ვაჟი, მეხუთე გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფე ამაიაკ სოლოვიანი. [illegible] განაცხადა, რამდენსამე სომეხს ბავშვი [illegible] ჩის შესართავთან ეტლში ჩაუსვამთ, შემდეგ ყარსის გზის საქონლის მატარებლით სადღაც წაუყვანიათ. ბავშვმა არ იცის, რომელ სადგურზე ჩამომხტარან. იქიდან სოფელში წაუყვანიათ. იქ წინადადება მიუციათ, მიეწერა მამისათვის და მოეთხოვათ 500 მან. ბავშვის გამტაცებელთათვის უთქვამთ, რომ იგი ღარიბ მასწავლებლის შვილი ვარ, ძლივსა ვცხოვრობთ მცირე ჯამაგირითაო და სხვა. ამის შემდეგ სოლოვიანი გაუნთავისუფლებიათ და შვიდ თებერვალს უკვე დაბრუნდა ტფილისში.

✦ **ავადმყოფი მექისეები**. სავალდებულო დადგენილების ძალით, ექიმმა თათულიანმა დაათვალიერა ტფ. აბანოები და შეამოწმა მექისეები. სიფილისითა და სხვა სენით დაავადმყოფებული მექისე და მოსამსახური აღმოჩნდა: ირაკლის აბანოში—6, „ფანტაზიის" აბანოში—1, წოვიანოვის აბანოში—4, სუმბათაშვილის აბანოში—4, ბებუთოვის აბანოში—6 და მირზოევის აბანოში—6. 188 მექისედან გადამდებ სენით ავადმყოფი აღმოჩნდა 25 კაცი, რომელნიც უკვე დათხოვნილ იქმნენ.

✦ **კონდუქტორის მოკვლა**. 6 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ანდრეევის ქუჩის შესახვევში, რკინის გზის ლაზარეთის მახლობლად ვიღაც ბოროტ განმზრახველი სახლში შეუვარდა კონდუქტორს, სვირის მცხოვრებს ალექსი ალფ. ჯულელს, ოთხჯერ რევოლვერი დაახალა და იქვე მოჰკლა. უცნობი 19—20 წლისა ჭაბუკი იქმნებოდა. უცნობმა ჯულელს ფული მოსთხოვა და რადგანაც უარი მიიღო, სროლა დაუწყო. უცნობი მიიმალა.

✦ **მკვლელობა** 4 თებერვალს საღამოთი ვიღაც უცნობთ ქარელის მახლობლად მოუკლავთ გაბო ელ-

---

როგორც მთელი, როგორც ისტორიული არსება—ჭეშმარიტი ტრაგიკული გმირი არ არის? რა გასანცვიფრებელი ზნეობრივი ენერგია არ გამოაშკარავა მან საუკუნეთა განმავლობაში თავის დამოუკიდებელ ეროვნულ მეობის შესანახად! განა საფიქრებელია, რომ ეს ენერგია სამუდამოდ გაჰქრა, რომ ის ეხლა აღარ არსებობს? რასაკვირველია არა: საჭიროა მხოლოდ „დაკარგულ მთლიანობის" აღდგენა, საჭიროა მხოლოდ პაწია, ხშირად სმენისთვის მიუწდომელ ხმების „მწყობრს მელოდიაში" შეერთება...

15.

ზემოდ ნათქვამიდან ცხადათა სჩანს, თუ რატომ არ შეუძლიან ჩვენ მორალურ გრძნობის დაკმაყოფილება ფრ. ნიცშეს რადიკალურს და ჟ. მ. გიუოს ზომიერს ინდივიდუალიზმს, თუმცა როგორც ერთი, ისე მეორე სწორედ ცხოვრებას აღიარებს უდიდეს სიკეთედ. არა „ზეკაცობა", რომელმაც ხელახლა ასაზრდოებს და შლის ველურს ინსტიქტებს, არამედ „ადამიანური" ცხოვრებაა უდიდესი ეთიური ღირებულობა; ეს უკანასკნელი კი ინდივიდუალობას აუცილებლად ქვემდებარე როლს ანიჭებს საზოგადოებასთან შედარებით. მაგრამ აქედან სრულიადაც ის უკიდურესი ანტიინდივიდუალისტური დასკვნა არ უნდა გამოვიყვანოთ, რომელიც შოპენჰაუერმა გააკეთა, რომ პიროვნებას არავითარი დამოუკიდებელი ზნეობრივი ღირებულება არა აქვს, რომ მას თავისივე თავის წინაშე არავითარი ზნეობრივი ვალდებულება არ სწერია, რომ მარტოდ-მარტო თანაგრძნობა და თავის უარყოფა უნდა ჩაითვალოს ეთიურად გასამართლებელს მოტივად. პირიქით, არსებობს ძლიერ მძიმე და სერიოზულ ზნეობრივი ვალდებულება თავის ვე პიროვნების წინაშე და ვინც ამ პირდაპირს და მახლობელს ვალდებულებას ივიწყებს, ის ვერც იმ უდიდეს მოთხოვნილებათა სიმაღლეზე ავა, რომელთაც მას საზოგადოება უყენებს წინ.

ამ მხრივ გიუომ ძლიერ კარგად გამოხატა ჭეშმარიტება მისი ეთიკის ძირითადი დებულება. ამბობს, რომ ინდივიდუალურ ცხოვრების ინტენსივობა პირდაპირს და აუცილებელს დამოკიდებულებაში იმყოფება მის ექსტენსივობასა და სოციალურს გაშლასთან. საჭურისები, გაუთხოვრად დამჭკნარი ქალწულნი, ბავშვები, რომელნიც ზედმეტს ენერგიას საჭიროებენ ზრდისათვის, ავადმყოფნი, სულიერად და ხორციელად სუსტი არსებანი და საიქიოსთვის განმზადებულნი, რომელთაც საქაო ცხოვრებისთვის ძალა აღარ შესწევთ, უფრო ხშირად ეგოისტები არიან, ვიდრე მათი თანაარსნი: „ყოველთვის, როცა სიცოცხლის წყაროს დენა გაუმეტებლად ჰხდება, ყოველს არსებაში ძლიერდება მოთხოვნილება რაც შეიძლება ძუნწად, რაც შეიძლება გამოზოგვით მოეპყროს თავის ძალებს, რომ ცოტა რამ თავისთვისაც დაიტოვოს. ასეთი არსება ჰშიშობს, არ დალევაროს გარეთ ერთი წვეთიც ცხოველმყოფელ წყაროდან". პირიქით, როცა ჩვენი ინდივიდუალურ ცხოვრების წყარო სჩქეფს და გადმოდუღს, როცა ჩვენი ფიზიკური, გონებრივი და ემოციონალური ძალანი მეტნი არიან, ვიდრე პირადათ ჩვენთვისაა აუცილებლად საჭირო, მაშინ ჩვენში იბადება მოთხოვნილება სხვისთვის მოქმედებისა, ექსტენსიურად გაშლისა, თავგანწირულებისა: „ჩვენ აღარ გვყოფნის ჩვენი თავი; ჩვენ მეტი ცრემლები გვაქვს, ვიდრე ჩვენს საკუთარს ტანჯვას სჭირია და მეტი მზა სიხარული, ვიდრე მას ჩვენი საკუთარი ბედნიერება მოითხოვს. ჩვენ იძულებულნი ვართ ჩვენი თავი სხვასაც გავუზიაროთ; იძულებულნი ვართ აზრთა და გრძნობათა გაზიარებით ჩვენივე არსება გავამრავლოთ", ამ შინაგან იძულებიდან გიუოს ვალდებულების გრძნობის უარყოფა გამოჰყავს: „დიდი პანი—ბუნების ღმერთი მოკვდა, იესო—ღმერთკაცი მოკვდა; დარჩა ვალდებულება, ეს შინაგანი და იდეალური ღვთაება: შეიძლება ისიც მოკვდეს ერთს დღეს". (ჟ. მ. გიუო: „მორალი თვინიერ ვალდებულებისა და დადასტურებისა". გერმანული თარგ., ლეიპც., 1909, გვ. 79 და 7).

ეს ჭეშმარიტი შეხედულება სრულიად უმართებულო დასკვნით თავდება. მართალია, თავის პიროვნების ყოველმხრივი გაღრმავება და გაძლიერება უპირველესი და უახლოესი საფეხურია ზნეობრივ განვითარების კიბეზე, მაგრამ ის სრულიადაც არ არის ერთად ერთი ან უმაღლესი, როგორც ინდივიდუალიზმს ჰგონია, და მისი მიღწევა ვერავითარს შემთხვევაში ვალდებულების მოსპობას ვერ გამოიწვევს, როგორც ეს გიუოს სწამს. ზნეობრივ არსების სიღრმეში ვალდებულების შეგნება ჩამარხული და იმ მწვავე კონფლიქტებით და წინააღმდეგობებით საზრდოობს, რომელიც ადამიანობის მუდმივ განუყრელს ხვედრს შეადგენს. ერთს ამ წინააღმდეგობას, რომელიც თვით უდიდეს ზნეობრივ ღირებულების, ე. ი. ცხოვრების დედაარსში იმალება, ჩვენ უკვე მივუთითეთ. მეორე პიროვნების და საზოგადოების ურთიერთობის ღვიძლი შვილია და ზნეობრივ მოქმედების მოტივთა ბრძოლისაგან გამომდინარეობს.

რაც უნდა განვითარებული იყოს პიროვნება, მასში აუცილებლად მდაბალი და ნაკლებ ფასიანი ფსიხიური მოტივებიც მოქმედებენ. კიდევ მეტი: რაც უფრო განვითარებული და მდიდარია სულიერად პიროვნება, მით უფრო მოსალოდნელია, რომ იმის ბუნებაში აღმოჩნდება ყოველგვარი ადამიანური განცდა, როგორც შესაძლებლობა ან როგორც რეალობა. სულიერი განვითარება სრულიადაც არა ნიშნავს ყველა მდაბალს და საძრახისს ინსტინქტის მოსპობას: პირიქით, ის უწინარესს ყოვლისა ინსტინქტთა, გრძნობათა, აზრთა და შეხედულებათა გამრავალფერებას მოასწავებს. კულტურული წინსვლა აძლიერებს როგორც ეგოისტურს, ისე უფრო მაღალ ინდივიდუალურს და სოციალურს გრძნობებს, როგორც ბოროტების და დანაშაულების, ისე კეთილ და სასიქადულო მოქმედების ნიჭს და ზნეობრივი პრობლემა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ მრავალმხრივს, ერთი-მეორეს მოწინააღმდეგე ძალთა შორის სათანადო ურთიერთობა დამკვიდრდეს: საჭიროა ეგოისტური მოტივები უფრო სპეტაკს ინდივიდუალისტურს მოტივებს დაექვემდებარნენ, ხოლო ეს უკანასკნელნი სოციალურს გრძნობებს და ადამიანობის იდეას დიდბუნებოვნობა სწორედ ამ სახიფათო შინაგანს ბრძოლაში და საბოლოო გამარჯვებაში აშკარავდება. პირიქით, ძლიერ იაფად ფასობს იმ უსუსურ არსებათა ზნეობრივი მოქმედება, რომელთაც დანაშაულობის ჩადენა მხოლოდ იმიტომ არ ძალუძთ, რომ მათი ღარიბი სული ძლიერ ვიწროა, რომ ბოროტების და შეცოდების გულისთქმანი დაეტიოს თავის საზღვრებში.

შინაგან დიფერენციაციის ზრდაშია მტკიცე საძირკველი ზნეობრივ ამაღლებისა, მოტივთა კონფლიქტში, უზენაესს გულისთქმათა შეგნებულს ან შეუგნებელს დღესასწაულობაში. მარტო დიდი მიზნის დასახვა, მარტო ცხოვრების გაფართოებისთვის ზრუნვა ვერასოდეს ვერ მიანიჭებს ადამიანის მოქმედებას იმ გამოუთქმელს ფსიხიურს თვისებას, რომლიდანაც მისი ზნეობრივი ფასი გამომდინარეობს. უეჭველია, რომ ის ადამიანი, რომელიც დიდს სიკეთეს მოიმოქმედებს, რომელიც ცხოვრებას თავის ნიჭითა და შრომით ბევრს მატერიალურს და სულიერს ღირებულებას ჰმატებს, მაგრამ ყოველთვის ფარულ ეგოიზმით, პირად სარგებლობით ან გაუმაძღარ ბედნიერების მოთხოვნილებით ხელმძღვანელობს, ბევრად დაბლა სდგას ეთიურად, ვიდრე ის, რომელიც შეიძლება დიდ მიზნებისკენ არ ილტვოდეს და არც ძალა შესწევდეს ზეციდან ვარსკვლავების საკრეფად, მაგრამ, სამაგიეროდ, თავის მოქმედებაში ყოველთვის სპეტაკ გრძნობისა და მოსაზრებებისაგან გამოდიოდეს. ზნეობრივ მოქმედების ღირსება მარტო შინაგანს მოტივებზე არ არის დამოკიდებული, როგორც ეს უკიდურესს ინტუიციონურს მორალს ჰგონია, მაგრამ ის არც მარტო გარეგნულ მიზნებით და შედეგებით განისაზღვრება, როგორც ამას უკიდურესი თელეოლოგიზმი ირწმუნება. პიროვნება, რომელიც სიკეთეს ყოველთვის ცუდის განზრახვით შვრება, სწორედ იმდენსავე ფასობს ეთიურად, რამდენსაც მისი მოპირისპირე ცალი, რომელიც არაფერს აკეთებს, თუმცა ყოველთვის „საუკეთესო ზრახვით და სათნოებითაა" გამსჭვალული. საჭიროა გარეგნული მიზნებიც და შინაგანი მოტივებიც, საჭიროა შეთვისება და ჰარმონია მათ შორის, რომ მოქმედება მართლაც ზნეობრივ მოქმედებად გადაიქცეს.

ცხადია, ამ შეთვისების მისაღწევად ზნეობრივად სავალდებულოა, რომ ტლანქი და მოუხეშავი ეგოიზმი დაექვემდებაროს ფაქიზს „მეობის გრძნობას", ხოლო ეს უკანასკნელი — „თანაგრძნობას" თუ ალტრუიზმს, სულ ერთია რომელს სოციალურ გულისთქმიდან უნდა გამოიხატოს ის. ამ შემთხვევაში ჭეშმარიტმა ზნეობამ არ იცის, თუ რა არის კომპრომისი: ადამიანურ ცხოვრების თვალსაზრისით შეგნებულის პიროვნება უფრო მაღლა სდგას, ვიდრე უსიცოცხლო საგანი, ეროვნება კიდევ უფრო მაღლა, ვიდრე თუნდ უქვირფასესი პიროვნება, კაცობრიობის სიდიადე-კი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იმის წინაშე თავი უნდა მოიხაროს უძლიერესმა და უკულტურესმა ერმაც; იმის წინაშე უნდა დასდუმდეს ყოველი ვიწრო ინდივიდუალისტური და ნაციონალისტური ინტერესი, რომელიც ადამიანობის ამაღლებულს იდეას ეწინააღმდეგება.

აქ ვხდებით ჩვენ სინიდისის ფენომენს, როგორც აუცილებელს ზნეობრივს ძალას. შინაგანი ხმაა ის, იდუმალი „დემონი", როგორც სოკრატმა სთქვა: არა „ღვთაების" (თეოლოგიური ეთიკა), არა ჩვენი „ზეგრძნეულ არსებ[ის]" (ი. კანტი), არა „ფაქტების" (ტ. ლიპპსი), არამედ ხმა ადამიანობისა, რომელიც გვიწოდებს საზოგადოებას მის წინაშე უპირატესობა მივანიჭოთ, ხოლო პიროვნება უპიროვნო ნივთზე მაღლა დავაყენოთ, და გვქენჯნის უწყალოდ, როცა ამ სავალდებულო ურთიერთობას ვარღვევთ მოქმედების მოტივთა შორის.

ბაქიძე და მისი ცოლი ნატალია. საქმე ასე ყოფილა: 4 თებერვალს ელბაქიძე, მისი ცოლი ნატალია და სახლის კაცი იასე ელბიქიძე გორში ყოფილან. გორიდან ნაშუადღევის მატარებლით სადგურ ქარელამდე ასულან, ხოლო ქარელიდან ფეხით გაუშურებიათ თავიანთ სოფლისკენ, ქვემო ხვედურეთის გზით. უეცრად გავარდნილა რამდენჯერმე თოფი და ელბაქიძე თავის ცოლით უსულოდ დაცემულან. იასე ელბაქიძე მსუბუქად დაჭრილა. ხოლო გლეხები, რომელნიც მათთან ერთად მიმავალან გაფანტულან. გაბო ელბაქიძე სოფ. ზღუდერში მთავრობის მამასახლისად ყოფილა. 5 თებერვალს გორის მაზრის უფროსი და გამომძიებელი ადგილობრივ წავიდნენ საქმის გამოსაძიებლად.

◆ **სასოფლო სამეურნეო სკოლა.** ხმა დადის, რომ მთავრობას განზრახვა აქვს სოხუმის ოლქში დაარსოს სასოფლო-სამეურნეო სკოლა. ამის გამო ნამესტნიკის თანაშემწეს სენატორ ვატაცის სოხუმის ოლქში ყოფნის დროს დაუთვალიერებია სახაზინო ადგილები. (კ.)

◆ **პანაშვიდი.** კვირას, 7 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფის სევერიანე ჯუღელის სულის მოსახსენებლად.

◆ **კრება არ შესდგა.** ზუბალაშვილის სახალხო სახლში სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის საზოგადო კრება კვირას, 7 თებერვალს, სხვა და სხვა მიზეზისა გამო არ შესდგა და გადაიდო სხვა დროისთვის.

◆ **რკინის გზაზე.** როგორც „ზაკავ."-ს გადმოგვცემს, 30 იანვარს ტფილისისა და ყარაიაზის სადგურებს შუა ჩქარის მატარებლისთვის რევიზია გაუკეთებია რკინის გზის მოძრაობის წევრს რუსანშტეინს. რუსანშტეინს, სხვათა შორის, დაუთვალიერებია სალონი-ვაგონი. ამ ვაგონში ყოფილა ამიერ-კავკასიის რკინის გზების მთავარი კონტროლიორი სავონსკი და ოთხი სხვა კაცი, ორი მეორე კლასის ბილეთით, ერთი მესამე კლასის და ერთიც უბილეთო. ამას გარდა ვაგონში ამ უკანასკნელთ ჰყოლიათ ოთხი ძაღლი, რაიც კანონით აღკრძალულია. რუსანშტეინს ყველაფერი ეს რკინის გზის უფროსისათვის უცნობებია.

◆ **სამკითხველოს გახსნა.** კვირას, 7 თებერვალს, დიდუბეში გახსნეს წ.-კ. საზოგადოების მიერ დაარსებული სახალხო სამკითხველო. აკურთხეს და გადაიხადეს პარაკლისი. კურთხევას და გახსნას დაესწრო წ. კ. საზოგადოების წარმომადგენელი ბ-ნი ბოცვაძე, ქალაქის გამგეობის წევრი თ. ნ. ე. არგუთინსკი დოლგორუკოვი, და სიტყვები წარმოსთქვეს ლ. ბოცვაძემ, თ. ნ. ე. არგუთინსკიმ და დეკ. ნ. ტალაკვაძემ.

◆ **შუამდგომლობა.** სომხურმა დრამატიულმა საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ტფ. გუბერნატორის წინაშე, ნება მიეცეს საზოგადოებას, რომ სომხებს შორის აბაზიანი ხელის მოწერა გამართოს. აზრად აქვთ ასეთის ხელის მოწერით შეაგროვონ 100,000 მანეთი და თეატრი აგონ.

◆ **გასამართლება.** ბაქოში ოლქის სასამართლომ გაარჩია 14 კაცის საქმე. ჰბრალდებოდათ 92,000 მანეთის ყალბი ფულის გასაღება. სასამართლომ გადაუწყვიტა: სამს — ოთხ-ოთხი წლით და შვიდს — $3\frac{1}{2}$ წლით ტუსაღთა განყოფილება, ერთს — ორი წლით და 8 თვით სატუსაღო, ხოლო 3 გაამართლა. (პ. ა.)

◆ **დათხოვნა.** ქალაქის გამგეობის დადგენილებით, სამსახურიდან დაითხოვეს ქალაქის აუქციონის დამფასებლები სალამბეკოვი და შადინოვი. ჰბრალდებათ სამსახურის დროს უკანონოდ მოქცევა.

◆ **დაპატიმრება.** ბაქოში პოლიციას დაუპატიმრებია ორი კაცი. ჰბრალდებათ პერვილის ცირკის პატრონის გაძარცვა, დარაჯის მოკვლა და სასტუმრო „ევროპა"-ზე თავ-დასხმა. (პ. ა.)

◆ **სამართალში მიცემა.** ნამესტნიკის განკარგულებით, სამართალში აძლევენ გორის მაზრის უფროსად ნამყოფს დავით ივანეს ძე ბაქრაძეს და გორის ქალაქის ბოქაულად ნამყოფს ტროფიმ ანდრიას ძე გოვოროვს. ჰბრალდებათ სამსახურის დროს სხვა და სხვა ბოროტმოქმედების ჩადენა.

◆ **ქვანახშირი.** სოფელ ნადარბაზევში; გრაკლის სადგურის მახლობლად, ბასილაშვილის მამულში აღმოუჩენიათ ქვანახშირი. უკვე შესდგომიან ქვანახშირის რაოდენობის გამორკვევას. (ზ.)

◆ **შეტაკება** სოფელ ლეილ-ამში, ყუბანის მაზრაში, მაჰმადიანებს შეტაკება მოსვლიათ. სროლის დროს მოუკლავთ 2, დაუჭრიათ 6 კაცი. ხალხის ამაღელვებელი დაუპატიმრებიათ (პ. ა.).

◆ **დაჭრა.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, 7 თებერვალს შემახაში ორ მაჰმადიანს დაუჭრია ბოქაულის თანაშემწეები პერამანოვი და კარაგოცკი. ორივე დაუპატიმრებიათ.

◆ ტფ. პოლიცმეისტერმა დაავალა პოლიციის მოხელეებს, გამოუცხადონ მცხოვრებთ, რომ დღეს, 9 თებერვალს, სასროლ მოედანზე სროლა ექმნება კურინსკის პოლკს.

◆ 7 თებერვალს ჩხრეკის დროს დააპატიმრეს პოლიციის მე-5 ნაწილში — 14 და მე-3 ნაწილში — 3 უპასპორტო კაცი. ამავე დღეს დააპატიმრეს ბორჩალოს მცხოვრები ისმაილ სულეიმან-ოღლი, რომელსაც აღმოაჩნდა ჯიბეში რევოლვერი.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** კვირას ქართულ თეატრში გადაიხადეს ბენეფისი ახალგაზრდა მსახიობ-ქალის მ. მდივნისა. ქ-ნი მდივანი მთელ წლევანდელ სეზონში დაუცხრომლად მუშაობდა. რაღაც მიზეზით ამ სეზონში ჩვენმა თეატრმა მრავალი მსახიობი შემოიფანტა, ამიტომ დარჩენილთ და, მათ შორის, მ. მდივანს, დიდი შრომა და ჯაფა დააწვათ. თითქმის ყველა პიესაში მდივანი მთავარ როლს ასრულებდა. კიდეც ამიტომ დააფასა საზოგადოებამ იგი და მის ბენეფისს მრავალი ხალხი დაესწრო.

წარმოადგინეს „შურის ძიების ღმერთი". სამწუხაროდ, თვითონ მობენეფისეს მკრთალი როლი ჰხვდა წილად და ამიტომ არ შეეძლო თავის დღესასწაულში მთელი თავისი ნიჭი და სასცენო უნარი გამოეჩინა. საჭირო კია, მობენეფისეებმა ასეთი პიესები აარჩიონ ხოლმე. იანკელის როლი ვლ. მესხიშვილმა ჩვეულებრივის შეგნებით და დაკვირვებით ჩაატარა, მეორე მოქმედებაში კარგად დაგვიხატეს გარყვნილების სახლი ტ. აბაშიძემ, ჯავახიშვილმა, შოთაძემ და კოლხიდელმა. საზოგადოდ მთელ წარმოდგენას ანსაბლი ეტყობოდა.

ივ. გომართელის ახალი ვოდევილი „დრამატიულ გამგეობის წევრი" მეტად მხიარული გამოდგა. ვექილი პეტრე (კ. მესხი) აირჩიეს დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრად. ვექილს უხარიან: გაზეთებში გამომქეხავენ, სახელი გავივარდება და ბევრი კლიენტი მომეტანებაო. მართლაც, მისი მისაღები ოთახი ხალხით ივსება. ვექილი სიხარულით ცას მოეწია — ბევრ ფულს ავიღებო, მაგრამ, კლიენტების მაგიერ, რიგ-რიგათ შემოდიან ყმაწვილი კაცები, უნიჭო პოეტები, უხეირო მსახიობები, ბლუები და ყრუები. ზოგს სცენაზე უნდა შესვლა, ზოგს პიესა დაუწერია და ზოგს კიდევ რა, ამ სცენებში ბევრი ოხუნჯობაა. არტისტებმა მხიარულად ჩაატარეს ვოდევილი და დამსწრენი ძალზე აცინეს. კომედიები თითქმის მოენატრა თეატრში მოსიარულე საზოგადოებას. რამდენი ხანია გულით აღარ უცინია. რაღაც მიზეზით ორი თვე იქნება ვასილ აბაშიძესაც აღარ უთამაშნია.

მობენეფისეს მიართვეს საჩუქრები და ყვავილები.

◆ **სახალხო სახლი.** შაბათს ზუბალაშვილის სახალხო სახლში სექციის სცენის-მოყვარეებმა წარმოადგინეს „გაცუდებული იმედები" და „პარიზელი ბიჭი". ორივე პიესამ კარგად ჩაიარა.

# სპარსეთი

### რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობის გამწვავება.

თეირანში დიპლომატთა და საპარლამენტო წრეებში ხმა გავრცელდა, ურთიერთობა რუსეთსა და სპარსეთს შორის თანდათან მწვავდებაო. სპარსული გაზ. „ირან ნოვა" („ახალი ირანი") ამტკიცებს, რომ რუსეთი ავსტრიას იმ აზრით ურიგდება, რომ უფრო ბეჯითად და მხნედ იმოქმედოს აზიაში, უმთავრესად სპარსეთშიო.

### სესხის საქმე.

ხმა დადის, რუსეთი და ინგლისი იმ პირობით ასესხებენ ფულს სპარსეთის მთავრობას, თუ ეს თავის მხრივ რკინის გზების აშენების დროს ინსტრუქტორებად რუსებსა და ინგლისელებს დანიშნავსო.

ინგლისური პრესა სწერს, რომ ესეთი პირობა სპარსეთის განაწილებას უდრისო. „დეილი ნიუსი" ამტკიცებს, რომ ესეთი პირობა დაარღვევს „ღია კარების" პოლიტიკას სპარსეთში და შესაძლებელია მის გამო დიდ სახელმწიფოებს ისეთივე უსიამოვნება მოუვიდეთ, როგორც ამ რამდენიმე წლის წინად მაროკოს საქმის გამო მოუვიდათო. გაზეთი ურჩევს ინგლისის მთავრობას, არამც და არამც არ დასთანხმდეთ ხსენებულ პირობასო. („ბ.")

### სათარ-ხანის და ბაგირ-ხანის დაჯილდოვება.

მეჯლისმა განსაკუთრებული სხდომა უძღვნა სპარსეთის რევოლიუციის გმირებს. დეპუტატები ქება-დიდებს ასხამდნენ სათარ-ხანსა და ბაღირ ხანის ღვაწლს. მეჯლისმა ერთხმად დაადგინა, სათარ-ხანს სარდლის სარისხი მიეცეს და მუდმივი პენსია დაენიშნოს: ექვსი ათასი მანეთი წლიწადში, ხოლო ბაღირ-ხანს — ოთხი ათასი მანეთი წლიწადშიო.

### სამხედრო სამინისტრო.

სპარსეთის სამხედრო სამინისტრო ორ ბანაკად გაიყო: ძველი სპარსელები და ახალგაზრდა სპარსელები. პირველ ბანაკს მეთაურობს სამხედრო სამინისტროს უმაღლესი მოხელე ზაალ-უდ-მულკი — ძველი ყაიდის კაცი, სრულიად უვიცი; მას ემხრობიან ძველი რეჟიმის დამქაშები — ძველის-ძველი დახავსებული სარდლები და ემირ-სპასალარები. ახალგაზრდა სპარსელებს მეთაურობს სამხედრო მინისტრის თანაშემწე აბდულ იამინ-ნიზამი, რომელსაც უმაღლესი სამხედრო განათლება სტამბოლში აქვს მიღებული; მას ემხრობიან ევროპიულად განათლებული აფიცრები, აგრეთვე უმთავრესად ოსმალეთში აღზრდილნი. ძველი სპარსელები მედგრად ეწინააღმდეგებიან ყოველ ახალ რეფორმას და არ ერიდებიან არავითარ ჭორსა, ინტრიგასა და ბინძურ საშუალებას, ოღონდ ახალგაზდა სპარსელებს-კი ხელი შეუშალონ და მათი რეფორმები გააქარწყლონ: ან-კი როგორ მოიწონებენ ესენი იმ რეფორმებს, რომლებიც გამოუღებენ შემოსავლის უკანასკნელ წყაროს.

# უცხოეთი

### ლორდების მიწვევა.

ინგლისური რადიკალური გაზ. „დეილი ნიუზ"-ი იუწყება: ყველა ლორდებს უკვე გაუგზავნეს მისაწვევი ბარათები, რომლების ძალით მათ ნება ექნებათ მთელ მომავალ საპარლამენტო ხანაში მონაწილეობა მიიღონ ლორდთა პალატის სხდომებში. ასე რომ ლორდ კორტნეის რჩევა — ლორდთა პალატის ასაღაგმად საკმაო იქნება კონსერვატორ ლორდებს წვეულობის ბარათები აღარ გაუგზავნოს მეფემაო, — ეხლა ძალა და ფასი ეკარგება.

### ინგლისის შეერთებულ მუშათა პარტიის კრება.

ქალ. ნიუპორტში მოხდა ინგლისის შეერთებულ მუშათა პარტიის კრება. პარტიაში ამ ჟამად ირიცხება 1,172,368 წევრი შარშანდელ 1,152,786 მაგიერ. ასეთი თვალსაჩინო ზრდა პარტიისა უმთავრესად იმით აიხსნება, რომ პარტიას შეუერთდნენ მთა-მადნის დარაზმული მუშები. წლიური ანგარიშში სიამოვნებითაა აღნიშნული, რომ მადნის მუშათა შემოერთების წყალობით, უკანასკნელ არჩევნებში არჩეული მუშა-დეპუტატები ყველანი მიემხრნენ მუშათა პარტიის პროგრამას. პარტიას ახალ პარლამენტში ეყოლება 40 დეპუტატი წინანდელ 46 მაგივრად. კრების გახსნამდე გაიმართა თათბირი იმ განაჩენის თაობაზე, რომელიც ლორდთა უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა ოსბორნის საქმეზე და რომლითაც ტრედ-უნიონებს აეკრძალათ სავალდებულო გადასახადის მოკრება მუშა-დეპუტატების დასახმარებლად. (ინგლისში დეპუტატებს არ ეძლევა ჯამაგირი) თათბირმა ერთხმად დაადგინა, რომ ეს განაჩენი პარლამენტს უნდა გაეუქმებინაო. კრების პირველ დღეს კეირ ჰარდიმ საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა. ორატორი დიდის უნდობლობით უცქერის ლიბერალურ სამინისტროს პროგრამას ლორდთა პალატის საქმეში. მან მოითხოვა სრული გაუქმება ლორდთა პალატისა. კრებამაც ამის შესაფერი რეზოლიუცია მიიღო. სხვა რეზოლიუციებით კრებამ მოითხოვა საარჩევნო რეფორმა, სახალხო განათლების სრული დემოკრატება, შრომის უფლების აღიარება და სხვა.

### ირლანდიის პარტიის კრება.

ამავე დროს ქალ. დუბლინში მოხდა ირლანდიის ეროვნულ პარტიის კრება მის მეთაურის ჯონ რედმონდის თავჯდომარეობით. პარტიამ დაადგინა, ყველა დამოუკიდებელი ირლანდიელი ნაციონალისტი, ობრიენის მომხრეები, რომლებმაც თავიანთ კანდიდატურა წამოაყენეს პარტიის ოფიციალურ კანდიდატების წინააღმდეგ, პარტიიდან გამოირიცხნენო. რედმონდმა სიტყვა წარმოსთქვა და გადაჭრით მოითხოვა, რომ ჯერ ლორდთა პალატის უფლება უნდა შეიზღუდოს და მხოლოდ ამის შემდეგ დამტკიცდეს ბიუჯეტიო. თუ ლიბერალური სამინისტრო ბიუჯეტს ხელახლად წარუდგენს ლორდების პალატას და მათ უფლების შეზღუდვას სხვა დროსთვის გადასდებს, მაშინ ირლანდიელები ვეღარავითარ დახმარებას ვერ გაუწევენ სამინისტროსაო.

კონსერვატიული პრესა დიდ მნიშვნელობას აძლევს რედმონდის სიტყვას: თუ ლიბერალებსა და ირლანდიელებს განხეთქილება მოუვათ, იქნება დეპუტატთა პალატამაც უარ-ჰყოს ბიუჯეტიო.

### დემონსტრაციები პრუსიაში.

როგორც დეპეშებიდან ვიცით, ამ ჟამად პრუსიაში ძლიერი დემონსტრაციები იმართება იმ უხეირო საარჩევნო რეფორმის წინააღმდეგ, რომლის პროექტიც წარუდგინა პრუსიის ლანდტაგს მთავრობამ. პრუსიის პროგრესიული ნაწილი და უმთავრესად სოციალ-დემოკრატები დიდი ხანია მედგრად მოითხოვენ პრუსიის დახავსებულ საარჩევნო წესების რეფორმას, მაგრამ ისინი მოითხოვდნენ საყოველთაო, ფარულ, პირდაპირ და თანასწორ საარჩევნო უფლებას და არა ისეთ სრულიად უმნიშვნელო რეფორმას, როგორიც მთავრობამ განიზრახა. ამის გამო სოციალ-დემოკრატებმა მთელს პრუსიაში მრავალი და ძლიერი დემონსტრაცია მოახდინეს მთავრობის პროექტის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. ბევრს ეშინოდა, ვაი თუ დემონსტრანტებს შეტაკება მოუვიდეთ პოლიციასთანაო. მაგრამ მხოლოდ ორიოდე ქალაქში მოხდა ასეთი შეტაკება. ყველაზე ძლიერ ეშინოდათ ბერლინში, რადგან პოლიციის უფროსმა მეტად მკაცრი და მუქარით სავსე გაფთხილება გააკრა ქუჩებში დემონსტრაციის წინა დღეს. არც თუ ეს შიში არ გამართლდა. ბერლინელი მუშები კრების შემდეგ გამწკრივებულნი მშვიდობიანად გაემართნენ სხვა-და-სხვა უბნიდან შუა ქალაქისკენ. თვალით მნახველნი ამბობენ, რომ დემონსტრანტების რიცხვი 200 ათასამდე ადიოდაო. განაპირა უბნებში დემონსტრანტებს სრული თავისუფლება ჰქონდათ მიცემული, პოლიცია იმპერატორის სასახლის ახლო-მახლო იყო თავმოყრილი. ბერლინსა და მის მიდამოებში სულ 14 კაცი დაატუსაღეს, შესამჩნევად დაშავდა მხოლოდ 4 კაცი. [illegible] ყველანი აღიარებენ, რომ მუშათა მასსამ თავის სამაგალითო ქცევით დაამტკიცა თავისი რიგიანობა და პოლიტიკური სიმწიფე, დაანახვა ყველას, რომ იგი ღირსია პოლიტიკურ უფლებისათ.

სოციალ-დემოკრატებმა პრუსიის ლანდტაგის სხდომის დროსაც გამოუცხადეს მკაცრი პროტესტი პრუსიის პირველ მინისტრს და გერმანიის კანცლერს ბეტმან-ჰოლვეგს. როცა პირველი მინისტრი დეპუტატებითა და გარეშე ხალხით გაჭედილ პალატაში სალაპარაკოდ წამოდგა, სოციალ-დემოკრატიის დეპუტატებმა უცებ მიაძახეს: „ფუ, ფუ! გრცხვენოდესთ თქვენის რეფორმისა; თქვე, ხალხის გამყიდველო!" ესეთი ამბავი ჯერ არას დროს არ მომხდარა თურმე პრუსიის პარლამენტში.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება დამრთოთ, მივმართო ქართულ და სომხურ წიგნთა გამომცემლებს, მეტეხის ციხის ქართველთ და სომეხთ ტუსაღთა დავალებით, რათა კეთილ ინებონ და შემოსწირონ თითო ოროლა წიგნი, თავიანთი გამოცემანი, ამავე ციხის წიგნთ-საცავს, ვინაიდან ასეთი წიგნები დიდს საჭიროებას შეადგენს ტუსაღთათვის.

მეტეხის ციხის მღვდელი
**მიხეილ დევიძე.**

## კალენდარი
**თებერვალი 28 დღე**

# 9

ახალი სტილით 22 — მთვარე 12 დღისაა.

40 დღე წლის თავიდან. რჩება 325 დღე

## სამშაბათი

**ქართვ.** წმ. მოციქულისა ნიკიფორესი და წმ. მარკელიასი, პანკრატისა და გენადისა.
**კათოლ.** წმ. ქალწ. მოწ. აპოლონისა.
**სომეხ.** მე-2 დღე არაჩავარაც. მარხვ.
**მაჰმად.** სე-შამბე 11 რ. საფარისა 1328 წ. ჰიჯრისა.
**ებრაელ.** იომშელიშ 13 რ. პირ. ადარისა 5670 წ. ქვეყნის შექმნ.


## განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ორშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—50)

ვ. ყიფიანის დრამა
**სამეგრელოს მთავარი ლევან**
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.
**ფასი ორი აბაზი**
იყიდება „დროების" რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶
**მოსავალი**
წელიწადი მეორე
მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**
თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.
რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали".


გიურს მოჰყავს პირენეის მთა-მაღაროების მუშების ცხოვრებიდან მაგალითი იმისა, თუ რამდენად იმპულსიურად და ელემენტარულად იხატება სოციალური ინსტიქტი და სინიდისის შეგნება ჭეშმარიტად ზნეობრივს მოქმედებაში, რომელიც შორსაა წინასწარ რეფლექციებიდან და სარგებლობის რაციონალურ აწონ-დაწონისაგან. მისი მსგავსი ამ უკანასკნელს ხანებშიაც განმეორდა რამდენიმე უბედურ შემთხვევის დროს: „ერთი მუშა ჩაეშვა მღვიმეში რაღაცას მოსაწყეს-რიგებლად და უცებ უგრძნობლად მიწაზედ დაეცა. მეორე გაეშურა დასახმარებლად, მაგრამ მასსაც ის ბედი ეწვია. დედაკაცმა, რომელიც უბედურებას დაესწრო, ყვირილი მორთო დამხმარეთა მოსაწოდებლად. მოცვივდნენ სხვა მუშები. მესამედ ჩაეშო კაცი გაცხელებულს მღვიმეში და დარჩა. მეოთხე, მეხუთე ჩახტა შიგ, მაგრამ ისინიც დაიხოცნენ. მხოლოდ ერთი-ღა დარჩა: ის მივიდა და მოემზადა ჩასავარდნად, მაგრამ იმას ტანისამოსში მაგრა ჩაეჭიდა იმის გვერდით მდგომარე ქალი, ნახევრად გიჟი ამ თავზარ-დამცემ საშინელებისაგან... შემდეგ, როცა უბედურების ადგილზე სამსჯავრო მოვიდა ჩვენების მოსასმენად, ცოცხლად დარჩენილს გამოჰკითხეს მისი დაუფიქრებელ თავგანწირულების შესახებ და ერთმა მოხელემ თავი შეიწუხა იმის სერიოზულად ასახსნელად, თუ რამდენად უაზრო იყო მისი მოქმედება. ამაზე მუშამ განსაცვიფრებელი პასუხი მისცა: „ჩემი ამხანაგები კვდებოდნენ; მე **იძულებული** ვიყავ ჩავხტარიყავ".

აქ კომენტარიები მეტია თვით ჰედონისტებისა და უტილიტარისტებისთვის...

სინიდისის და ზნეობრივ ვალდებულების წინააღმდეგია ის მოქმედება, რომელიც ეგოისტურს გრძნობას „მეობის გრძნობაზე" მაღლა აყენებს, ე. ი. რომელიც გარეგნულს კეთილდღეობისა, სიმდიდრისა, კარიერისა და სხვა უპიროვნო, უსიცოცხლო საგნების გულისთვის თავის მეს ღირსებას ივიწყებს და მიზნად ჰხდის იმას, რაც ყოველთვის თავისუფალ პიროვნების საშუალებად უნდა დარჩეს. სინიდისის და ვალდებულების წინააღმდეგია ის მოქმედება, რომელსაც წინ ინდივიდუალურ გრძნობათა გამარჯვება უძღვის სოციალურზე და რომელიც პიროვნებას ცენტრად ჰხდის, ხოლო საზოგადოებას და თანაარსთ პიროვნულ ბატონობის ასპარეზად აქცევს. და, ბოლოს, უსინიდისო და უზნეო ის „ნაციონალური აქტი და პოლიტიკა", რომელიც ერთ რომელიმე არჩეულ ეროვნების სახელით თავისუფლებას უბოჭავს სხვა ეროვნებას, უხუთავს განცალკევებულს ისტორიულს ბუნებას და გზას უკრავს კულტურულ კაცობრიობის განვითარებისკენ. ამ შემთხვევებში მოქმედებს ის შინაგანი „დემონი", თუ ადამიანობა სავსებით არაა დაჩლუნგებული: იმიტომ რომ ცხადია, ზნეობრივი განვითარება, ე. ი. ადამიანობის იდეისკენ მსვლელობა, შეუძლებელია თავისუფალ პიროვნების, თავისუფალ ეროვნების და თავისუფალ კაცობრიობის გარეშე, რომ იმ იდეის განხორციელება არ შეიძლება არც გარეგნულ, უპიროვნო **ნივთების**, არც მარტო **ერთ პიროვნების**, არც მარტო **ერთ პიროვნების** საშუალებით, რაც უნდა ძვირფასი იყოს ის ნივთი, ის პიროვნება, ის ეროვნება.

**გერონტი ქიქოძე.**
(დასასრული იქნება)